
**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

პაატა შანშიაშვილი

საქართველოს დასული ტერიტორიების

სისტემების განვითარება 2

ჟანა ზონენაშვილი

საქართველოს მიწის რესურსები 24

საპარტიო და სახელმწიფო პოლიტიკის განხილვა

■ პაატა შანშიაშვილი

გათვითცნობიერების კონტექსტი

საქართველოში მოსახლეობის ფართო ფენების ბუნებისადმი დამოკიდებულების შეფასება საჭიროებს როგორც პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიმდინარე ცვლილებების თანმდევი „გარდამავლობის ფსიქოლოგიის“, ისე ძველი ტრადიციების და ჩვევების გათვალისწინებას. მოსახლეობის ცნობიერების ამ ორ წინააღმდეგობრივ შემადგენელს პრაქტიკაშიც მოსდევს კონტრასტული შედეგი. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე ქვეყანაში მეოცე საუკუნის მიწურულს ერთდროულად არსებობს გამორჩეული ბუნებრივი მემკვიდრეობაც და ამ მემკვიდრეობის ხელყოფის ტენდენციაც.

თანამედროვე საქართველოსთვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ცნობიერების სივრცეში იყვნენ მოქცეული, ნიშანდობლივია ზნეობრივი გაორება, ყოველგვარ საზოგადოებრივთან დაპირისპირება, მომხმარებლური სულისკვეთება და უპასუხისმგებლობის გრძნობა. რეპრესიული მექანიზმების მოქმედების პირობებში თითქოს ხერხდებოდა მის მიერვე გენერირებული ზნეობრივი დეფორმაციების „ნიველირება/კორექტირება“, მაგრამ უკვე პოსტ-კომუნისტურ ერაში ამ ზნეობრივმა მემკვიდრეობამ სრული სახით იჩინა თავი. იფეთქა „საზოგადო“ ბუნებრივი რესურსების დასაკუთრებისა და დაუზოგავად მოხმარების ფსიქოლოგია. მოსახლეობა დაიყო შედარებით მცირერიცხოვან „მიმტაცებლებად“ და მრავალრიცხოვან „გულგრილებად“, რომლებიც ასევე მონაწილეობენ თავიანთივე სასიცოცხლო გარემოს რღვევაში. მიუხედავად ამისა საზო-

ამაღლებისა და ზნეობრივი რეაბილიტაციის პერსპექტივა.

უკვე დღევანდელ პირობებშიც ბუნებისა და ბუნებრივი რესურსებისადმი დამოკიდებულების ფართო სპექტრი იჩენს თავს. გავრცელებულია არა მარტო ბრაკონიერული, სტიქიურ/ინდიფერენტული და მომხმარებლური, არამედ მდგრადი განვითარების პრინციპებზე დამყარებული მიდგომებაც. ბუნებრივი მემკვიდრეობისადმი გონივრული დამოკიდებულება აკუმულირებული ტრადიციულ-რელიგიურ მოძღვრებასა და პროგრესულ მეცნიერულ თეორიებში.

მეცნიერული და ტრადიციულ-რელიგიური დამოკიდებულებები, განსხვავებული მეთოდების მიუხედავად, ურთიერთგაძლიერების პოტენციალს ატარებს. მეცნიერებამ წარმოშვა მდგრადი განვითარების თეორია, რომელიც წარმატებულად დაინერგება სწორედ ზნეობით განმტკიცებულ საზოგადოებაში. ამის ნათელი მაგალითია ბუნებისადმი დამოკიდებულებისა და მეურნეობრივობის ტრადიციული გამოცდილება (დაცული/ხატის ტყეები, სანადირო იარაღის დამარხვის ტრადიცია, ლანდშაფტის ორგანიზების მოდელები და სხვა) რისი მნიშვნელობაც არ იფარგლება მხოლოდ ისტორიული განზომილებით.

დღეისათვის ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ჰარმონიზების ქმედითი და მოქნილი გზა მდგრადი განვითარების მეცნიერულ თეორიაშია ჩამოყალიბებული. კერძოდ, ეს თეორია პირველ რიგში გულისხმობს განვითარების ისეთი პრინციპების დამკვიდრებას, რაც პრაქტიკაში შესაძლებელს გახდის:

- გარანტირებულ და თანმიმდევრულ ეკონომიკურ ზრდას და არა მოკლევადიან „ნახტომს“ (სადაც გარდაუვალად მოსდევს ეკოლოგიური კატასტროფის სოციალურ-ეკონომიკური დაზარალება).
- გუნებრივი რესურსების ისეთ გამოყენებას, რომელიც სასიცოცხლო გარემო არ კარგავს ფუნქციონირების უნარს და არ საჭიროებს აღდგენის უნარს მაკონსერვაციულ ძეგლებად?
- უმეტესწილად განახლებადი რესურსების მოხმარებას (ისიც გუნებრივი განახლებადი რესურსებით) და არაგანახლებადი რესურსების განსაკუთრებულ შემთხვევაში, უპირობო მოხმარებას.

მდგრადი განვითარების უმთავრესი პრინციპია ბუნებრივი ფენომენების უნივერსალური ღირებულების აღიარება და აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ შემორჩენილი ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა შემდგომი მოდიფიკაციისაგან, ე.ი. ბუნებრივი ლანდშაფტის ყველა ელემენტის (გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აგებულება, ჰიდროგრაფიული ქსელი, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო და სხვა) ბუნებრივი სახის შენარჩუნება. ამ პრინციპის განხორციელება სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების საშუალებით ხდება. ეს საშარტლებრივად დაცული ადგილები წარმოადგენს ბუნების „თავშესაფარს“, საიდანაც ხდება მისი აღდგენა მიმდებარე მოდიფიცირებულ ტერიტორიებზე.

შექმნილ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა გახსნილია საერთაშორისო პარტნიორობისა და თანამშრომლობისათვის, მნიშვნელოვანია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოცდილებისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ჰარმონიზაცია. ამ მხივ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კი გულისხმობს ბუნებრივი მემკვიდრეობის მიმართ სრულფასოვანი დამოკიდებულებით გამსჭვალული ცნობიერების ჩამოყალიბებას და ისეთი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებას, როგორცაა:

მოქმედების, მოხსალაბა ადამიანისა და ყველა სხვა ძველიაგისადმი, პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, დღევანდელი და მომავალი საზოგადოების წინაშე.

ამ მხრივ, ფორმალური განათლების შესაძლებლობების სრულფასოვან გამოყენებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, სხვადასხვა ბექდვითი და აუდიო/ვიზუალური პროდუქციის ადექვატური და ეფექტური გამოყენება, აგრეთვე ადგილობრივ მოსახლეობასთან, პირველ რიგში კი „ბუნების მოხმარებით“ დაინტერესებულ ჯგუფებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის სულისკვეთების აღდგენა.

ეკოლოგიური ცნობიერების რეაბილიტაციისათვის აუცილებელია:

- სასიცოცხლო გარემოსადმი სათუთი დამოკიდებულებისა და ბუნების ფენომენების სრულფასოვანი ცოდნის განვითარება;
- ტრადიციული გამოცდილებისა და პროგრესული მეცნიერული ცოდნის ინტეგრირება;
- ტელევიზიის, რადიოს, პრესის, ბექდვითი და აუდიო-ვიზუალური პროდუქციის საშუალებების მობილიზაცია მომხმარებლური და უპასუხისმგებლო მენტალიტეტის დასაძლევად და პირიქით, მომჭირნე და დამზოგავი ცნობიერების აღსაზრდელად;

• ფართო საზოგადოების, არასამთავრობო ჯგუფების აქტიური თანამონაწილეობის, პარტნიორობისა და პასუხისმგებლობის გაზიარების მექანიზმების ამოქმედება;

• არსებული დაცული ტერიტორიებისა და მნიშვნელოვანი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონცენტრაციის რეგიონებში მოსახლეობის განსაკუთრებული ზნეობრივი პასუხისმგებლობის, გათვითცნობიერებისა და თანამონაწილეობის სულისკვეთების განვითარება.

დაცული ტერიტორიების განვითარება

საქართველოში საბჭოთა კანონმდებლობით შექმნილია 14 ნაკრძალი და 5 სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობა. ე.ი. ქვეყნის ტერიტორიის 2.4 % შეადგენს მკაცრ დაცვასთან მიახლოებული და 0.8 % სხვადასხვა გამოყენების რეჟიმის მქონე დაცული ტერიტორიები. ნაკრძალებს და სამონადირეო მეურნეობებს ადგილებზე მართავს დირექციები და ეროვნულ დონეზე განაგებს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

1995 წელს დაარსდა საერთაშორისო კრიტერიუმების შესატყვისი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიც, მაგრამ საქართველოს ნაკლებად სახეცვლილი ეკოსისტემების, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, მნიშვნელოვანი ჰაბიტატების, ფლორისა და ფაუნის იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების შესანარჩუნებლად აუცილებელი დაცული ტერიტორიების სისტემის შემდგომი განვითარება კვლავ აქტუალურია.

სასიცოცხლო გარემოსა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემათიკა საქართველოში უკავშირდება სასიცოცხლო გარემოს შემადგენელ სისტემებს შორის მეოცე საუკუნის მიწურულს არსებული ბალანსის დაცვას და დეგრადირებული სისტემების რეაბილიტაციას.

სასიცოცხლო გარემოს შემადგენელი სისტემები

ბუნებრივი სისტემები (მაგ. ბუნებრივი ლანდშაფტები და ეკოსისტემები),

* მოდიფიცირებული სისტემები (მაგ. საძოვრები, სატყეო, სამონადირეო სავარგულები),

* კულტივირებული სისტემები (მაგ. სატყეო და სასოფლო სამეურნეო პლანტაციები),

* გაშენებული სისტემები (მაგ. საგარეუბნო და საქალაქო ბალები და პარკები)

* ხელოვნური სისტემები (მაგ. ქალაქები და სხვა ურბანული წარმონაქმნები)

* დეგრადაციის საფრთხის ქვეშ მყოფი სისტემები

საქართველოს გამორჩეული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, ბუნებრივი და ნაკლებად სახეცვლილი ეკოსისტემები მოსახლეობის განაწილების უკუპროპორციულად არის განფენილი. მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის ისტორიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნის ტერიტორიის ორი მესამედი მთიანია და შენარჩუნებულია სასიცოცხლო გარემოს ბუნებრივი მახასიათებლები. აქ მალაღია ბუნებრივი ტყით დაფარული ფართობის წილიც და ჰიდროლოგიური ქსელის სიმჭიდროვეც. ბუნებრივი და ჰარმონიული ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტები ძირითადად კონცენტრირებულია კავკასიონის ფერდობებზე (ჩრდილოეთი ზონა), მცირე კავკასიონზე და ივრის ზეგანზე (სამხრეთი ზონა), აგრეთვე კოლხეთის დაბლობის შავი ზღვის მიმდებარე ნაწილში (დასავლეთი ზონა). მნიშვნელოვანი ბუნებრივი წარმონაქმნები (ტბები, ჭაობები, ჭალები, კარსტული მღვიმეები, პალეონტოლოგიური, გეომორფოლოგიური და ორგანული ბუნების ობიექტები, აგრობიომრავალფეროვნებით გამორჩეული ლანდშაფტის უბნები და სხვა) ფრაგმენტალურად განფენილია ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის ზონებს შორის მდებარე ინტენსიურად ათვისებულ და მოდიფიცირებულ ტერიტორიებზეც, თუმცა ბუნებრივი კორიდორების ფუნქციებს ჯერ კიდევ ასრულებს ლიხისა და ცივგომბორის ქედები და რიონის, ალაზნის, ივრისა და სხვა მდინარეების ხეობები.

უნივერსალური გამოცდილებისა და საქართველოს სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით საერთაშორისო და განსაკუთრებით კი, ევროპული მასშტაბით უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობის შენარჩუნება და გონივრული გამოყენება დღის წესრიგში აყენებს საქართველოს ტერიტორიული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის ფორმირებისადმი უახლესი მიდგომების განვითარებას. თანამედროვე დამოკიდებულება კი გულისხმობს ბუნების სრულფასოვანი დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჰარმონიზებას, რაც პირველ რიგში გამოიხატება სხვადასხვა რეჟიმის დაცული ტერიტორიებით აგებული დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბებით.

დაცული ტერიტორიების სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

- ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარებისათვის საქართველოს ყველა ბიოგეოგრაფიული ერთეულის წარმომადგენლობითი ტერიტორიების გრძელვადიანი გარანტირებული დაცვა;
- ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა;
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ

მცენარეთა და ცხოველთა ჰაბიტატების დაცვა;

• უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება;

• სასიცოცხლო გარემოს ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ფორმირების, გადინებისა და განტვირთვის არეალების, აგრეთვე, იმ ტერიტორიების დაცვა ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან, რომლებიც ეროზიული, ლვარცოფების, წყალდიდობა-წყალმოვარდნების, ზვავებისა და მწყურების აქტიური გავლენის ზონებში ხვდებიან.

• ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ხუროთმოძღვრული, არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური კომპლექსების, დამახასიათებელი პეიზაჟების შენარჩუნება და აღდგენა;

• განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ფასდაუდებელი და შეუცვლელი ობიექტების ტერიტორიაზე შესაბამისი სავსე პირობების შექმნა;

• ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა;

• თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისა და ხალხური შემოქმედების შენარჩუნების, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა;

• მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება.

დაცული ტერიტორიების ქსელის წარმატებული განვითარებისათვის ტერიტორიებისა და ობიექტების შესარჩევად უმნიშვნელოვანესია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

1. ტერიტორიის სიდიდეს ზოგადად პირდაპირი კავშირი აქვს ტერიტორიის ბუნების დაცვით მნიშვნელობასთან. დაცული ტერიტორია არ უნდა იყოს ნაკლები იმ მინიმალურ კრიტიკულ ზომაზე, რაც აუცილებელია მთლიანი ეკოლოგიური ერთეულის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად.
2. ბიოგეოგრაფიული მრავალფეროვნების, განსაკუთრებით ეკოტონების და ვერტიკალური გარდამავალი ზონების დაცვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.
3. ბუნებრივობა უნივერსალური, სულ უფრო მზარდი ღირებულებაა. ბუნებრივი და ნაკლებად სახეცვლილი ტერიტორიები უნდა დაექვემდებაროს დაცვას.
4. იშვიათი ბუნებრივი ფენომენები საჭიროებს შენარჩუნების ღონისძიებებს.
5. უნიკალურ ბუნებრივ წარმონაქმნებს კაცობრიობის განვითარებისათვის ფას-

დაუდებელი მნიშვნელობა აქვს. უნიკალური ლანდშაფტები და ჰაბიტატები უნდა იქნას დაცული.

6. ბიოგეოგრაფიული ერთეულების ტიპური წარმომადგენლობითი უბნების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

7. სათუთი და ადვილად დაზიანებადი ბუნებრივი წარმონაქმნები უნდა იქნას ადექვატურად დაცული.

8. გენეტიკური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად კრიტიკულია როგორც ბუნებრივი, ისე მოდიფიცირებული და კულტივირებული ტერიტორიების და ჰაბიტატების დაცვა.

9. ტერიტორიის ბუნებისდაცვითი ღირებულება მით დიდია, რაც ხანგძლივია მისი მონიტორინგის და დაცვის პერიოდი.

10. დაცული ტერიტორიის ეკოლოგიურად ხელსაყრელ მდებარეობას ბიოგეოგრაფიულ ერთეულში სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნებისათვის კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

11. დაცვითი რეჟიმების დადგენისას უნდა ხდებოდეს ბიოგეოგრაფიული დარაიონების მაღალი რანგის ერთეულების გათვალისწინებაც. ამ მხრივ კრიტიკულია ავია- და ისტიოფაუნის სამიგრაციო გზებთან დაკავშირებული ტერიტორიების დაცვა.

12. დაცვის რეჟიმს საჭიროებს ისეთი მოდიფიცირებული ტერიტორიები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ეკოლოგიური რესტავრაციის პოტენციას.

13. მაღალი ესთეტიური და ეთიური ღირებულების ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული წარმონაქმნები, ატარებს რა რეკრეაციულ და საგანმანათლებლო პოტენციას, საჭიროებს ადექვატურ დაცვასა და მოვლა პატრონობას.

14. დაცული ტერიტორიის კატეგორიის შერჩევისას ქვეყნის განვითარების მოდელს და პოლიტიკურ ნებას, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და გონივრული გამოყენების საქმეს გარდაშავალ პერიოდში ერთის მხრივ, გააჩნია სამართლებრივი და საინსტიტუციო რეფორმის უნიკალური შანსი და მეორეს მხრივ კი, აშკარაა მისი დეგრადაციისა და განადგურების საფრთხე.

1990 წელს, სახელმწიფო ტერიტორიების მოსალოდნელი ფართო პრივატიზაციის წამოწყებამდე, საქართველოში დაიწყო დაცული ტერიტორიების თანამედროვე სისტემის დაგეგმვისა და ჩამოყალიბების ღონისძიებები საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

შეირჩა ამ მხრივ პირველი რიგის პრიორიტეტული რეგიონები.

წინასწარი შესწავლით, დაცული ტერიტორიების პერსპექტიულ სისტემაში უპირატესი დაცვის რეჟიმი გავრცელდება საქართველოს ტერიტორიის 10%-ზე (ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები) და დაცვისა და

სხვადასხვაგვარი გონივრული გამოყენების ინტეგრირებული რეჟიმი კი ტერიტორიის 20%-ზე (დაცული ლანდშაფტები, მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიები). საქართველოს ხელისუფლებამ უკვე 2000 წლისათვის ივალდებულა ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების დაკანონება (1997 წლის 3 აპრილი - საქართველოს პრეზიდენტის განცხადება კამპანია „ცოცხალ პლანეტასთან“ დაკავშირებით).

თანამედროვე კონცეფციის თანახმად, პირველ რიგში დაარსდა რეგიონული დამხმარე ჯგუფები არსებული ნაკრძალების დირექციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ეს ჯგუფები აქტიურად ჩაერთნენ როგორც საწყისი ინფორმაციის მოკვლევის, ასევე უშუალოდ დაგეგმვისა და ცალკეული პროექტების დანერგვის საქმიანობაში. ისინი თამაშობდნენ და თამაშობენ გადამწყვეტ როლს ადგილობრივი მოსახლეობის გათვითცნობიერებაში. ასეთი ჯგუფები უკვე მოქმედებენ ახმეტის, ბორჯომის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და კოლხეთის რეგიონებში.

პრიორიტეტების მიხედვით შეიქმნა სრულფასოვანი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსთან, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტთან პარტნიორობით ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით და რეგიონის მოსახლეობის ხელ შეწყობით, ადგილობრივი საავტორო ჯგუფის მიერ დამუშავდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა. გეგმა აერთიანებს რეგიონში არსებული ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის განვითარების, საერთაშორისო კრიტერიუმების შესაბამისი ეროვნული პარკის ჩამოყალიბებისა (50 400 ჰა) და რეგიონის (დამხმარე ზონის) მდგრადი განვითარების სტიმულირების ექვსწლიან პროგრამებს. ეს პროგრამებია: დაცვის პროგრამა, კვლევისა და მონიტორინგის პროგრამა, ეკოლოგიური განათლებისა და ვიზიტორთა პროგრამა, ადმინისტრაციის პროგრამა, ინტეგრალური განვითარების პროგრამა, დამხმარე ზონის პროგრამა. მათი დანერგვის ორეტაპიანი ბიუჯეტის ფორმირება გათვალისწინებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, მიუხედავად ცალკეული უწყებების წინააღმდეგობისა, დაარსდა 1995 წელს (მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ივლისის № 447 დადგენილება). ანალოგიური გეგმები შემუშავდა აღმოსავლეთ კავკასიონისა და ივრის ზეგანის რეგიონებისთვის და კოლხეთის დაბლობზე.

დაცული ტერიტორიების განვითარების საქმისთვის უმნიშვნელოვანესია განახლებადი ბუნებრივი რესურსების ბალანსირებული

მოსხარების სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება (ახმეტის, დედოფლისწყაროს, ბორჯომის, ხარაგაულისა და ლაგოდეხის რაიონებში ცალკეულ ოჯახურ მეურნეობებში დაიდგა ბიოგაზის შვიდი დანადგარი) და არსებული ნაკრძალების შენარჩუნებისა და ფუნქციონირებისათვის უკიდურესად აუცილებელი დახმარების განწევა (ახმეტის, ბორჯომის, ვაშლივანისა და ლაგოდეხის ნაკრძალებში დაცვის გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსება).

დაცული ტერიტორიების სისტემის ფორმირებისთვის საჭირო რეფორმის სამართლებრივი ბაზის შექმნას ემსახურებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ დაცული ტერიტორიების სისტემის თანამედროვე კანონპროექტის მიღება 1996 წლის 7 მარტს.

რეფორმისტული ინიციატივა ხელს უწყობს საერთაშორისო ღირებულების მქონე უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის — თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოს მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებისა და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ამოცანათა გადაწყვეტას. იგი ავსებს იმ სამართლებრივ დანაკლისს, რომელიც უქმნის ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას ბუნების დაცვის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდების და ფართო პროფილის დონორი ორგანიზაციების (გარემოს გლობალური ფონდი — GEF, მსოფლიო ბანკი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი და სხვა) მიერ მოწინავე საერთაშორისო დანერგვისათვის საჭირო ტექნიკურ დახმარებას და მნიშვნელოვანი ფინანსების მოზიდვას.

საქართველოში საერთაშორისო კრიტერიუმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და მათი ჩამოყალიბების პროცედურის დაკანონება, რაც შესატყვისება ერთის მხრივ, ბუნების დაცვის საჭიროებებს საქართველოში და მეორეს მხრივ კი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (World Conservation Union - IUCN) რეკომენდაციებს, ქმნის სამართლებრივ კავშირს უნივერსალურ საერთაშორისო დოკუმენტებთან, დეკლარაციებთან, კონვენციებთან და პროგრამებთან, აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს საერთაშორისო ბუნების დაცვითი ვალდებულებების უკეთ შესრულებას.

დაცული ტერიტორიების კონცეფციით, საქართველოში დაცული ტერიტორიების

სისტემა უნდა აიგოს შემდეგი კატეგორიების გამოყენებით:

- სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც იმსახურებს ველური ბუნების ნაყოფიერად დასაცავად და მემკვიდრეული კვლევისა და განათლების სამიანობისათვის;
- ეროვნული პარკი — იმსახურებს ერთიანი ბუნებრივი აქოსისტემის დასაცავად და ტურისტულ-რეკრეაციული სამიანობისათვის;
- ბუნების ძეგლი — არსდება სახელმწიფო ბუნებრივი წარმონაქმნის შესანარჩუნებლად;
- ალკვითილი — იმსახურებს ისეთი ბუნებრივი ობიექტების დასაცავად, რომლებიც საშიროუს აბიურ ბუნების დაცვით ძეგლებს (განიუზღაცია);
- დაცული ლანდშაფტი — ორგანიზდება ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების დასაცავად და ტურისტულ-რეკრეაციული სამიანობისთვის;
- მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, რომელიც ორგანიზდება განახლებადი ბუნებრივი რესურსების დაზოგავი გამოყენებისთვის.

ეროვნული კატეგორიებით აგებული დაცული ტერიტორიების სისტემის საფუძველზე შესაძლებელია დაცული ტერიტორიების გლობალურ ქსელში ჩართული საერთაშორისო კატეგორიების — ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დაარსების შესაძლებლობაც.

რეფორმა შეეხება დაცული ტერიტორიების მართვის ინსტიტუტების ძირითად უფლებამოსილებებს, აკრძალვებს და რეგულირებად საქმიანობებს, ფინანსირების ცენტრალური და ავტონომიური დაფინანსების წყაროების შემოღებას, საუნყებათშორისო და საზოგადოებასთან თანამშრომლობის, აგრეთვე კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს.

რეფორმის გატარებამ სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე, არსებითად უნდა შეუწყოს ხელი როგორც საერთაშორისო დახმარების საფუძველზე დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებას, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, მდგრადი ეკონომიკური განვითარების (მდგრადი სოფლის მეურნეობა, ალტერნატიული ენერჯეტიკა, ეკოტურიზმი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა) სტიმულირებით, დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებისთვის საჭირო ადგილობრივი ფინანსური სახსრების გენერირებას და ზოგიერთ შემთხვევებში, სრულ თვითდაფინანსებასაც კი.

თანამედროვე მიდგომის თანახმად, დადგენილია დაცული ტერიტორიების დაგეგმვის ეტაპები და დაარსების პროცედურა მენეჯმენტის გეგმის დამუშავების მოთხოვნითა და მისი პერიოდული კორექციის

შესაძლებლობით.

დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა, ეყრდნობა რა ქვეყნის ბუნების დაცვის ტერიტორიული საკმარისობისა და საფრთხეთა ანალიზს, განსაზღვრავს დაცულ ტერიტორიათა ქსელის აგების სქემას.

სისტემის დაგეგმვა უნდა წარმოადგენდეს მოქნილ სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც დაეყრდნობა ციფრულ მონაცემთა ბაზას და გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის საკვანძო საკითხებია:

- in situ კონსერვაციის საჭიროებების ანალიზი;

- არსებული დაცული ტერიტორიების საკმარისობის ანალიზი;

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციათა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის საფრთხის ანალიზი;

- არსებული დაცული ტერიტორიების ინვენტარიზაცია/შეფასება;

- დაცული ტერიტორიების განვითარების (ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების, არსებულების გაფართოების, კატეგორიების ამალღების ან შეცვლის, დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბების სტადიების/ეტაპების და სხვა) რეკომენდაციები;

- დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარების პრიორიტეტების დარგობრივი დაგეგმვისა და ტერიტორიული დაგეგმარების სისტემაში ინტეგრირების პრინციპები და რეკომენდაციები;

- დაცულ ტერიტორიებზე მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის საჭიროებები;

- სამართლებრივი და ინსტიტუციური მონაცემების, ტრანსსექტორული პარტნიორობისა და მოსახლეობასთან თანამშრომლობის რეკომენდაციები;

- საერთაშორისო, რეგიონული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების საჭიროებები;

- დაცული ტერიტორიების შემდგომი დაგეგმვის (მენეჯმენტის გეგმები და სხვა) სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები;

- პრიორიტეტული საინვესტიციო რეკომენდაციები.

ცალკეული დაცული ტერიტორიის სრულფასოვანი დაგეგმვა ხორციელდება მენეჯმენტის გეგმის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს დროის ფიქსირებული პერიოდისათვის დაცული ტერიტორიის მართვის ოპერატიულ დოკუმენტს.

დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის მოდელი

პრეამბულა _____

I. მდგომარეობის აღწერა _____

II. დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნები _____

III. ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების

ორგანიზაცია _____ დაცული ტერიტორიის საზღვრები _____

ზონირება _____

1. _____

2. _____

3. _____

*. _____

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა)

დაცული ტერიტორიის ზონების ფართობები _____

IV. მენეჯმენტის პროგრამები _____

1. დაცვისა და აღდგენის პროგრამა _____

2. კვლევის და მონიტორინგის პროგრამა _____

3. მოსახლეობის თანამონაწილეობის, გათვითცნობიერებისა და ვიზიტორთა პროგრამა _____

4. ადმინისტრაციის პროგრამა _____

5. ინტეგრალური განვითარების პროგრამა _____

6. დამხმარე ზონის პროგრამა _____

V. ქრონოგრამა და გენერალიზებული ხარჯთაღრიცხვა _____

VI. დასკვნა _____

დანართი _____

1. დაცული ტერიტორიის საზღვრების აღწერა _____

** 2. ბუნების მკაცრი დაცვის ზონის საზღვრების აღწერა _____

** 3. აღდგენის ზონის საზღვრების აღწერა _____

4. ფლორისტული სია _____

5. ფაუნისტური სია _____

6. საველე ინვენტარიზაციის ბოტანიკური ანგარიში _____

7. საველე ინვენტარიზაციის ზოოლოგიური ანგარიში _____

8. საველე ინვენტარიზაციის სატყეო-სამეურნეო ანგარიში _____

*** 9. ფონური ინფორმაცია _____

ა) გეომორფოლოგია _____

ბ) გეოლოგია _____

გ) კლიმატი _____

დ) ჰიდროგრაფიული ქსელი _____

ე) მცენარეულობა _____

ვ) ნიადაგები _____

ზ) სატყეო მეურნეობა _____

თ) სოციალურ-ეკონომიკური პირობები და განვითარების დაგეგმილი ღონისძიებები _____

ი) არქეოლოგიური ძეგლების მოკლე მიმოხილვა _____

* ზონების რაოდენობა და სახეობა დამოკიდებულია, როგორც დაცული ტერიტორიის კატეგორიაზე, ისე ცალკეულ კონკრეტულ პირობებზე

** საზღვრები აღიწერება, თუ ასეთი ზონები არსებობს
*** დაცული ტერიტორიის კატეგორიისა და სპეციფიური საჭიროების მიხედვით შესაძლებელია სხვა თემატიკის საველე ინვენტარიზაციის ანგარიშების მომზადებაც (მაგ.: ლანდშაფტურ-ეკოლოგიური, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სოფლისმეურნეობის და სხვა)

დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა კატეგორიების მიხედვით საზღვრავს სპეციფიურ და ოპერატიულ საქმიანობებს, მაგრამ დაგეგმილი საქმიანობები ყოველთვის ეხამება დაცული ტერიტორიების სისტემის ორგანიზების კონცეპტუალურ სქემას.

დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული საქმიანობა

სახელმწიფო ნაკრძალში იკრძალება:

- ეკოსისტემის/ების და მისი/მათი კომპონენტების მოდიფიცირება / სახის შეცვლა;
- აღდგენითი, სამეურნეო, რეკრეაციული თუ მეცნიერული კვლევის მიზნით განახლებადი და მით უფრო, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება, შეშფოთება - მათ შორის ნადირობა, თევზაობა, საქონლის ძოვება, თიბვა, მერქნის მოპოვება, მცენარეთა და ცხოველთა შეყვანა და გავრცელება);
- გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაქტიული ნებისმიერი დაბინძურება, აუდიო - და ვიზუალური შეშფოთება, მათ შორის მყისიერიც);
- უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;
- არასაგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა დაშვება.
- ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მონყობილობების შეტანა;
- ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (საგანმანათლებლო ბილიკები და მონყობილი ადგილები) გარდა;
- ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი და სხვა აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;
- ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და/ან სარგებლობაში გადაცემა (კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა).

ეროვნულ პარკში იკრძალება:

1) ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში:

- ეკოსისტემის/ების და მისი/მათი კომპონენტების მოდიფიცირება / სახის შეცვლა;
- აღდგენითი, სამეურნეო, რეკრეაციული თუ მეცნიერული კვლევის მიზნით განახლებადი და მითუმეტეს არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი სახით ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება, შეშფოთება - მათ შორის ნადირობა, თევზაობა, საქონლის ძოვება, თიბვა, მერქნის მოპოვება, მცენარეთა და ცხოველთა შეყვანა და გავრცელება);
- გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება, მათ შორის

მყისიერიც);

- უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;
- არასაგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა დაშვება;
- ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მონყობილობების შეტანა;
- ვიზიტორთა ღამისთევა და ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (საგანმანათლებლო ბილიკები) გარდა;
- ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი და სხვა აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;
- შენობების, გზების, ნაგებობების მშენებლობა.
- ზონაში ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და/ან სარგებლობაში გადაცემა (კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა).

2) ბუნების მართვა დაცვისა და ვიზიტორთა ზონებში:

- ეკოსისტემის/ების და მისი/მათი კომპონენტების მოდიფიცირება / სახის შეცვლა;
- ბუნებრივი რესურსების რღვევა, დაზიანება და ამოღება, ნადირობა, თევზაობა, საქონლის ძოვება, თიბვა და მერქნის მოპოვება;
- გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო - და ვიზუალური შეშფოთება);
- უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;
- ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მონყობილობების შეტანა;
- ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები, სპეციალურად მონყობილი ადგილები) გარდა;
- ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი და სხვა აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;
- ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო რაოდენობაზე გადაჭარბებით ვიზიტორთა დაშვება;
- ზონაში ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და/ან სარგებლობაში გადაცემა (კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა).

3) აღდგენის ზონაში:

- ეკოსისტემის/ების და მისი/მათი კომპონენტების მოდიფიცირება;
- სამეურნეო, რეკრეაციული თუ მეცნიერული კვლევის მიზნით განახლებადი და მითუმეტეს არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი სახით ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება, შეშფოთება, მათ შორის ნადირობა, თევზაობა, საქონლის ძოვება,

თიბვა, მერქნის მოპოვება);

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება, მათ შორის მყისიერიც);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• ვიზიტორთა დაშვება;

• ზონაში ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და/ან სარგებლობაში გადაცემა (კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა).

4) ისტორიულ-კულტურულ ზონაში:

• ისტორიულად ჩამოყალიბებული ისტორიულ-კულტურული გარემოს ხელყოფა (პეიზაჟის სახეცვლა და ეთიურ-ესთეტიკური პოტენციალის დაქვეითება);

• არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება);

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მოწყობილობების შეტანა;

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები, სპეციალურად მოწყობილი ადგილები) გარდა;

• ვიზიტორთა გადაადგილება აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებებით.

• ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო რაოდენობაზე გადაჭარბებით ვიზიტორთა დაშვება;

• ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა.

5) ადმინისტრაციის ზონაში

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• ზონაში ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და/ან სარგებლობაში გადაცემა (კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა).

6) ტრადიციული გამოყენების ზონაში:

• არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება);

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის,

ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• გადაადგილება აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;

• გადაჭარბებული რაოდენობით ვიზიტორთა დაშვება;

• ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა.

ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე იკრძალება:

• სპეციფიური ბუნებრივი წარმონაქმნების და ეკოსისტემის/ების კომპონენტების მოდიფიცირება / სახის შეცვლა;

• აღდგენითი, სამეურნეო, რეკრეაციული თუ მეცნიერული კვლევის მიზნით განახლებადი და მითუმეტეს, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება, შეშფოთება - მათ შორის ნადირობა, თევზაობა, საქონლის ძოვება, თიბვა, მერქნის მოპოვება, მცენარეთა და ცხოველთა შეყვანა და გავრცელება);

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება, აუდიო და ვიზუალური შეშფოთება, მათ შორის მყისიერიც);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• არასაგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა დაშვება.

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მოწყობილობების შეტანა;

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (საგანმანათლებლო ბილიკები და მოწყობილი ადგილები) გარდა;

• ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი და სხვა აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;

• მშენებლობა;

• ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და/ან სარგებლობაში გადაცემა (კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა).

აღკვეთილში იკრძალება:

• ეკოსისტემის/ების და მისი/მათი კომპონენტების მოდიფიცირება / სახის შეცვლა;

• ბუნებრივი რესურსების რღვევა და დაზიანება, საქონლის ძოვება;

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაქტიული ნებისმიერი დაბინძურება);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და

ადგილების (ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები, სპეციალურად მოწყობილი ადგილები) გარდა;

• ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი და სხვა აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;

• ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო რაოდენობაზე გადაჭარბებით ვიზიტორთა დაშვება;

• ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელწიფო საკუთრების შეცვლა.

დაცულ ლანდშაფტში იკრძალება:

• ისტორიულად ჩამოყალიბებული ისტორიულ-კულტურული გარემოს ხელყოფა (პეიზაჟის სახეცვლა და ეთიკურ-ესთეტიური პროტენციის დაქვეითება);

• არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება);

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიოაქტიური დაბინძურება, აუდიო- და ვიზუალური შეშფოთება);

• უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება;

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მოწყობილობების შეტანა;

• ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების (ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები, სპეციალურად მოწყობილი ადგილები) გარდა;

• ვიზიტორთა გადაადგილება აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით;

• ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო რაოდენობაზე გადაჭარბებით ვიზიტორთა დაშვება.

მრავალმხრივი გამოყენების დაცულ ტერიტორიაზე იკრძალება:

• ბუნებრივი გარემოს ურბანიზაცია (სასოფლო გარემოს შეცვლა ქალაქური გარემოთი, ბუნებრივი კომპონენტების სრული მოდიფიკაცია);

• არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ხელყოფა (რღვევა, დაზიანება, ამოღება);

• გარემოს დაბინძურება (ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიოაქტიური დაბინძურება, აუდიო- და ვიზუალური შე-

შფოთება);

• უცხო და ეგზოტიკურ გარეულ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება.

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებს მიზანია:

საქართველოში დაცული ტერიტორიების ისეთი დაკანონებული ქსელის აგება, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების სრულფასოვან შენარჩუნებას ადექვატური (მინიმალური კრიტიკული ზომის) ტერიტორიული მასშტაბის წარმომადგენლობითი და ტიპიური, ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი და ნაკლებად სახეცვლილი, სათუთი და საფრთხის ქვეშ მყოფი, უნიკალური და გენეტიკური რესურსებით მდიდარი, ისტორიული გამოცდილების ამსახველი ჰარმონიული ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების მომცველი და სასიცოცხლო გარემოს ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების მქონე ეკოსისტემების, ლანდშაფტების და ჰაბიტატების დაცვას და გონივრულ გამოყენებას, დაცული ტერიტორიების ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიების დაარსებით, რაც იმართება კარგად აღჭურვილი და მაღალ-კვალიფიცირებული პერსონალით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი სახელმწიფო სამსახურის (აღმასრულებელი ხელისუფლების სრულფასოვანი სექტორის) საშუალებით, რომელიც სარგებლობს ფართო საზოგადოების მხარდაჭერითა და ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობით.

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების პრინციპებია:

I. გიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენებისათვის საპარტიკულო დაცული ტერიტორიების შველა კატეგორია თანაბრად მნიშვნელოვანია;

II სისტემა უნდა განვითარდეს განცალკევებული დაცული ტერიტორიებიდან მათ ერთიან ძალად;

III. უპირველესად უნდა შეიქმნას დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და შემდეგ უნდა მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;

IV. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზები საჭიროებს დაცული ტერიტორიების ძალის სისტემურ დაგეგმვასა და ერთეული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმვებთან ჰარმონიზაციას;

V. სახელმწიფოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ სიკრძაში დაცული ტერიტორიების სამსახურის ფინანსური და სექტორული ავტონომია დაცული ტერიტორიების წარმატებული მართვის პირობაა.

დაცული ტერიტორიების სისტემის ამოცანებია:

1. დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი ქსელის ჩამოყალიბება;
2. დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა;
3. დაცული ტერიტორიების ფინანსური მექანიზმის სრულყოფა;
4. პოლიტიკური მხარდაჭერის აგება და ტრანსინსტიტუციური და ტრანსსექტორული კოოპერაციისა და პარტნიორობის განვითარება;
5. დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის შექმნა;
6. საერთაშორისო, რეგიონული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება.

სტრატეგიული მიზნების განხორციელება დამოკიდებულია საზოგადოებაში და სახელმწიფოში მოქმედი ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების ბალანსზე. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის ხასიათი, საგარეო დახმარების მასშტაბი, კეთილდღეობის დონე, არასამთავრობო ორგანიზაციების სიძლიერე, საზოგადოებაში გაბატონებული მენტალიტეტი და სხვა.

პრიორიტეტული აქტივობებია:

1. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემური დაგეგმვის პროექტის მომზადება (ათწლიანი პერიოდისათვის), რომელიც კანონით გათვალისწინებული ექვსი ეროვნული კატეგორიისა და სამი გლობალური კატეგორიის საშუალებით შექმნის ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების გარანტირებულ კარკასს კავკასიონისა და მცირე კავკასიონის, კოლხეთისა და ივრის ზეგნის დაცული ტერიტორიების მასივებისა და ლიხისა და ცივგომბორის ქედების, აგრეთვე რიონის, მტკვრის, ივრისა და ალაზნის მდინარეთა აუზების დაკავშირებით;
2. დაგეგმილ პრიორიტეტულ რეგიონებში, როგორებიცაა კოლხეთის ჭარბტენიანი დაბლობი, ბორჯომ-ხარაგაულის და აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთი და ივრის ზეგანი, დაცული ტერიტორიების დაკანონება და მათი სრულფასოვანი ექვსწლიანი მენეჯმენტის გეგმების დანერგვა;
3. სრულფასოვანი მენეჯმენტის გეგმების დამუშავება ცენტრალური კავკასიონის, ერუშეთის, ჯავახეთის, აჭარის, აფხაზეთის რეგიონების, თრიალეთის, ლიხის და ცივგომბორის ქედების, აგრეთვე ისეთი ცალკეული დაცული ტერიტორიებისათვის, როგორებიცაა ხევის და დავით-გარეჯის დაცული ლანდშაფტები, პირიქითის ეროვნული პარკი და აღმოსავლეთ საქართველოს ალკვეთილები;
4. ტბების ეკოსისტემების დაცვისა და მოვლა

- პატრონობის მენეჯმენტის გეგმების დამუშავება და დანერგვა;
5. ბუნების ძეგლის კატეგორიის კანდიდატობიექტთა ნუსხის შედგენა, შესაბამისი კანონპროექტების მომზადება და მიღება, აგრეთვე მათი მენეჯმენტის გეგმების დამუშავება;
6. პერსპექტიული დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარე პალეონტოლოგიური ობიექტების დაცვისა და მოვლა-პატრონობის გეგმების დამუშავება და ადექვატური დაცვითი რეჟიმების დაკანონება.
7. დმანისის, ტარიბანას (კონახურას ქედი), ახალქალაქის, ძეძვთახევის, უდაბნოს, იალღუჯის მთის პალეონტოლოგიური ობიექტების დაცვის კეთილმოწყობისა და ინვენტარიზაციის საქმიანობის წარმართვა;
8. მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის სტატუსის კანდიდატ საქართველოს ბუნებრივ და ბუნებრივ-კულტურულ ობიექტთა (დაცულ ტერიტორიათა) ეროვნული ნუსხისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა და UNESCO-ში წარდგენა;
9. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის-რამსარის უბნის სტატუსის კანდიდატ საქართველოს ჭარბტენიან დაცულ ტერიტორიათა შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა და RAMSAR-ის ბიუროში წარდგენა;
10. ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის კანდიდატ საქართველოს დაცულ ტერიტორიათა შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა და UNESCO-ში წარდგენა;
11. არსებული ნაკრძალების და ალკვეთილების დაცვისა და ფუნქციონირების ხელშემწყობი გადაუდებელი ღონისძიებების გატარება;
12. დაცული ტერიტორიების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება პერსონალის წრთვნის, აღჭურვისა და მატერიალური ნახალისების საშუალებით;
13. დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის ფარგლებში ადექვატური დეტალური რეგულირებების შემუშავება და მიღება;
14. საინფორმაციო სისტემისა და მონაცემთა სრულფასოვანი ბაზის შექმნა დაცული ტერიტორიების ცენტრალურ სამსახურში;
15. საქართველოში საერთაშორისო (ტრანსსასაზღვრო) დაცულ ტერიტორიებში ჩასართველ დაცულ ტერიტორიათა პრიორიტეტების დადგენა, შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავება და რუსეთის ფედერაციის (ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების), აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის პასუხისმგებელ სამთავრობო და დინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება;
16. დაცული ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

როგორებიცაა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კომისია (WCPA), ევროპის დაცული ტერიტორიების ფედერაცია (EUROPARCS Federation), იუნესკოს ადამიანი და ბიოსფეროს პროგრამა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი, ბუნების დაცვის მონიტორინგის

მსოფლიო ცენტრი (WCMC), პარტნიორობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, აგრეთვე მსოფლიოს ცალკეულ დაცულ ტერიტორიებსა და საქართველოს დაცულ ტერიტორიებს შორის დაძმობილების და გამოცდილების გაცვლის პრაქტიკის დანერგვა

დანართი

საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა

1. **Guidelines for Protected Areas Management Categories.** 1994. IUCN.;
2. Rodney V. salm. 1989. **Marine and Coastal Protected Areas: A Guide For Planners and Managers.** IUCN;
3. Kelleher G. and Kenchington R.. 1991. **Guidelines for Establishing Marine Protected Areas.** IUCN;
4. Klemm C. 1993. **Biological Diversity Conservation and the Law.** IUCN;
5. **Strategic Action Plan for the Rehabilitation and Protection of the Black Sea.** 1996.;
6. **The Pan-European Biological and Landscape Diversity Strategy.** 1996. Council of Europe. UNEP. European Centre for Nature Conservation.;
7. **Parks for Life: Action for Protected Areas In Europe.** 1994. IUCN. EURO PARKS. WWF. WCMC. BirdLife International.;
8. Zaitsev Yu. and Mamaeva V. 1997. **Biological Diversity in the Black Sea: A Study of Change and Decline.** GEF. The World Bank. UNDP. UNEP.;
9. Wilson A.M. and Moser M.E. 1994. **Conservation of Black Sea Wetlands.**
10. **Black Sea Transboundary Diagnostic Analysis.** 1997. GEF. The World Bank. UNDP. UNEP.
11. **Caring for the Earth : A Strategy for Sustainable Living.** 1991. IUCN. UNEP. WWF
12. **Guidelines for Mountain Protected Areas.** 1992. IUCN.
13. **Coordinating Research and Management to Enhance Protected Areas.** 1994. IUCN.
14. **Conservation of Biodiversity and the New Regional Planning.** 1995. IUCN.
15. **Expanding Partnerships in Conservation.** 1995. IUCN
16. **Draft Guidelines for National System Planning for Protected Areas.** 1997. IUCN

გათვითცობიერების მეთოდები და საშუალებები საზოგადოების სხვადასხვაჯგუფებისათვის

საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფი	გათვითცობიერების ტიპი და გამიზნულობა	გათვითცობიერების საშუალება
მოსახლეობის ფართო ფენები / სასოფლო თემი	ზნეობრივი აღზრდა, ეკოლოგიური და საბუნებისმეტყველო გათვითცობიერება, კვალიფიკაციის ამაღლება სასოფლოსამეურნეო, სატყეო თუ სხვა სპეციალურ სამეწარმეო სფეროებში	ტელევიზია, რადიო, ბეჭდვითი და აუდიო-ვიზუალური საშუალებები, სადემონსტრაციო-საკვალიფიკაციო პრაქტიკა
რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები	სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფების დაინტერესებისა და მომხრობის, ფინანსების მოზიდვის, პროექტების შემუშავებისა და გაძღოლის და სხვა ორგანიზაციული უნარის ამაღლება	სემინარები და სადემონსტრაციო პრაქტიკა მცირე ჯგუფებში
ეროვნული დონის სახელმწიფო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სანარმოები	წარმატებული თანამშრომლობის და პარტნიორობის უნარის აგება, ინსტიტუციური განვითარება	კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები, ტრანსინსტიტუციური პრაქტიკა
სასულიერო პირები, მრევლი	უახლესი საბუნებისმეტყველო მეცნიერული მონაპოვრებისა და გარემოს თანამედროვე მდგომარეობის მონაცემების ათვისება, ხელისუფლების, საქმიანი წრეებისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და მაღალი ზნეობრივი ნორმების დამკვიდრების უნარის გაუმჯობესება	საგანმანათლებლო კურსები, სემინარები, მუშა შეხვედრები, სპეციალური პრაქტიკა
საერთაშორისო არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები	ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების უნარის ამაღლება, სპეციფიური და პრიორიტეტული საჭიროებების გამოკვლევა, პროექტების წარმატების შეფასება	საერთაშორისო სემინარები, სპეციალური პრაქტიკა


არსებული და პერსპექტიული დაცული ტერიტორიები

	დაცული ტერიტორიები	დაარსების წელი	არსებ. ფართობი ჰა-ში	პერსპექტ. ფართობი ჰა-ში	პერსპექტ. კატეგ.
1	ალგეთის ნაკრძალი	1965	6822	-	-
2	ანბეთის ნაკრძალი -ბაბანეურის ნაკრძალი -ბანარის ნაკრძალი -თუშეთის ნაკრძალი	1980	16297 2735 3042 10109	4331 10580	ნაკრ. ნაკრ. ერ. პარკი
3	აჯამეთის ნაკრძალი	1946	4845	-	-
4	ბიჭვინთა-მიუსერას ნაკრძალი	1966	3645	-	-
5	ბორჯომის ნაკრძალი	1929	17948	-	-
6	ფსჰუ-გუმისთას ნაკრძალი	1976	40819	-	-
7	ვაშლოვანის ნაკრძალი	1935	8034	-	-
8	კინტრიძის ნაკრძალი	1959	13893	-	-
9	ლაგოდეხის ნაკრძალი	1912	17932	25400	ნაკრ.
10	ლიახვის ნაკრძალი	1977	6388	-	-
11	რინის ნაკრძალი	1957	16289	-	-
12	საგურამოს ნაკრძალი	1948	5359	-	-
13	სათაფლია-კოლხეთის ნაკრძალი -სათაფლიის ნაკრძალი -კოლხეთის ნაკრძალი	1935	854 354 500	- - -	- - -
14	ყაზბეგის ნაკრძალი	1966	8707	-	-
15	მარიამჯვრის ნაკრძალი	1939	1040	-	-
	ნაკრძალები მთლიანად		168872	185478	
1	გარდაბნის სატყ.-სამონ. მეურნეობა	1957	3315	-	აღკვ.
2	ყორულის სატყ.-სამონ. მეურნეობა	1958	2068	2600	აღკვ.
3	ივრის სატყ.-სამონ. მეურნეობა	1965	1336	4000	აღკვ.
4	ჭაჭუნის სატყ.-სამონ. მეურნეობა	1965	5200	18805	აღკვ.
5	კაცობურის სატყ.-სამონ. მეურნეობა	1964	295	-	ერ.პარკ.
	სატყეო-სამონ. მეურნეობები მთლიანად		12214	29015	
1	ბორჯომ-ხარაგაულის დაც. ტერ. რეგიონი - ბორჯომ-ხარაგაული ეროვნული პარკი - ქცია-ტაბანყურის აღკვეთილი - ნეძვის აღკვეთილი - თეთრობის აღკვეთილი - მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	1995	50400 22000 11200 3100 156000	-	-
2	კოლხეთის დაც. ტერ. რეგიონი - კოლხეთის ეროვნული პარკი - ქობულეთის ნაკრძალი - მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია			54700 777 74700	ერ.პარკ. ნაკრ. მრ.გ.ტერ.
3	აღმოსავლეთ კავკასიონის დაც. ტერ. რეგ. - თუშეთის ეროვნული პარკი - კახეთის ეროვნული პარკი - პირიქითის ეროვნული პარკი - ხევის დაცული ლანდშაფტი - ალაზნის აღკვეთილი - ალავერდის აღკვეთილი - მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია			115800 76850 168400 78200 11165 262 228299	ერ.პარკ. ერ.პარკ. ერ.პარკ. დაც.ლანდ აღკვ. აღკვ. მრ.გ.ტერ.
4	ივრის დაც. ტერ. რეგიონი - ვაშლოვანის ეროვნული პარკი - დავით-გარეჯის დაცული ლანდშაფტი - მრავალმხრივი გამოყენების			44796 37000 192200	ერ.პარკ დაც.ლანდ. მრ.გ.ტერ.

დაცული ტერიტორიების განვითარების მეთოდები და საშუალებები

ტერიტორიული რანგი	განვითარების მეთოდი	განვითარების საშუალება
ქვეყნის ეროვნული ტერიტორია და აკვატორია (ტერიტორია მოქცეული საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში)	გრძელვადიან სამართლებრივ საფუძველზე დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება	დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის განვითარება, დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა 10-15 წლის პერიოდისათვის
დაცული ტერიტორიების გეგმარებითი რეგიონები, ქვეყნის მხარეები (ივრის ზეგანი, კოლხეთის დაბლობი, თუშეთი, სვანეთი და სხვა)	დაცული ტერიტორიების ქვესისტემის აგება	ტერიტორიების რეზერვირების შესახებ დადგენილების/ბრძანებულების მიღება, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის სახელმძღვანელო დოკუმენტის დამუშავება 6-10 წლის პერიოდისათვის
ცალკეული დაცული ტერიტორია (ლაგოდეხის ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, დავით-გარეჯის დაცული ლანდშაფტი და სხვა)	დაცული ტერიტორიის კატეგორიის დადგენა და საზღვრების დემარკაცია, დაცვისა და მოვლა პატრონობის ინფრასტრუქტურის აგება, ფუნქციონირების უზრუნველყოფა	შექმნის შესახებ კანონის მიღება, დაცული ტერიტორიის სრულფასოვანი მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და დანერგვა 5-6 წლის პერიოდისათვის
საერთაშორისო, რეგიონული და ტრანსსასაზღვრო ბიოგეოგრაფიული ერთეულები (კავკასია, შავი ზღვის აუზი, ველურ ორგანიზმთა სამიგრაციო კორიდორები)	დაცვის მონიტორინგისა და გამოყენების საქმიანობის კოორდინაცია, ინფორმაციისა და კადრების გაცვლა, ერთობლივი ნროვნა	დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია, საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო სახელმძღვანელო დოკუმენტი და რეკომენდაციები 5-15 წლის პერიოდისათვის

ნახაზი №1



სტრატეგიული ამოცანების ფაქტორული ანალიზი

1	2	3	4	5
1. დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი ქსელის ჩამოყალიბება;	დაცული ტერიტორიების ქსელის დამტკიცებული პროექტი	I. მოსკოპუნისტური ანტირეფორმისტული ინერცია (საშ) II. მატერიალური და ფინანსური ბაზის სისუსტე. (მალ) III. მასიური კადრების დაბალი კვალიფიკაცია (მალ)	I. მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციები და უძველესი თვითმყოფადი კულ-ტურა (საშ) II. რეფორმისტული სახელმწიფო კურსი (საშ) III. საგარეო დახმარება (მალ) IV. მოტივირებული და კვალიფიციური არასამთავრობო ჯგუფები (მალ)	ამოცანის გადამწყვეტა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე და საგარეო დახმარებაზე
2. დაცული ტერიტორიების რეფორმირების მართვის სრულყოფა;	დაცული ტერიტორიების რეფორმირებული განმტკიცებული საშსახური	I. მოსკოპუნისტური ანტირეფორმისტული ინერცია (მალ) II. მატერიალური და ფინანსური ბაზის სისუსტე. (მალ) III. მასიური კადრების დაბალი კვალიფიკაცია (მალ)	I. რეფორმისტული სახელმწიფო კურსი (საშ) II. საგარეო დახმარება (მალ) III. მოტივირებული და კვალიფიციური არასამთავრობო ჯგუფები (მალ)	ამოცანის გადამწყვეტა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე და საგარეო დახმარებაზე
3. დაცული ტერიტორიების ფინანსური მექანიზმის სრულყოფა;	დაცული ტერიტორიების ფინანსური ავტონომიისა და შედეგითი დაფინანსების კანონმდებლობა	I. მოსკოპუნისტური ანტირეფორმისტული ინერცია (მალ) II. მატერიალური და ფინანსური ბაზის სისუსტე. (მალ) III. მასიური კადრების დაბალი კვალიფიკაცია (მალ)	I. რეფორმისტული სახელმწიფო კურსი (საშ) II. საგარეო დახმარება (მალ) III. მოტივირებული და კვალიფიციური არასამთავრობო ჯგუფები (მალ)	ამოცანის გადამწყვეტა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ზოგად კურსზე და დახმარებაზე
4. პოლიტიკური მხარდაჭერის აგება და ტრანსინსტიტუციური ტრანსსექტორული კოოპერაციისა და პარტნიორობის განვითარება;	დაგეგმილი დაცული ტერიტორიების დარსება და ფუნქციონირება	I. მოსკოპუნისტური ანტირეფორმისტული ინერცია (საშ) II. მატერიალური და ფინანსური ბაზის სისუსტე. (მალ) III. მასიური კადრების დაბალი კვალიფიკაცია (მალ)	I. რეფორმისტული სახელმწიფო კურსი (საშ) II. მოტივირებული და კვალიფიციური არასამთავრობო ჯგუფები (მალ)	ამოცანის გადამწყვეტა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე და რეფორმისტული კურსის შენარჩუნებაზე
5. დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის შექმნა	ცენტრალურ სამსახურში მონაცემთა ბაზის ციფრული მონაცემთა ბაზა	I. მატერიალური და ფინანსური ბაზის სისუსტე. (მალ) II. არსებული მონაცემების დაბალი ხარისხი და არასაკმარისობა. (მალ) III. მასიური კადრების დაბალი კვალიფიკაცია (მალ)	I. საგარეო დახმარება (მალ) III. მოტივირებული და კვალიფიციური არასამთავრობო ჯგუფები (მალ)	ამოცანის გადამწყვეტა დამოკიდებულია არის დინამიკური საგარეო დახმარებაზე
6. საერთაშორისო, რეგიონული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება.	ტრანსსასაზღვრო შეთანხმებები და დაცული ტერიტორიები	I. მოსკოპუნისტური ანტირეფორმისტული ინერცია (საშ) II. მატერიალური და ფინანსური ბაზის სისუსტე. (მალ) III. მასიური კადრების დაბალი კვალიფიკაცია (მალ)	I. რეფორმისტული სახელმწიფო კურსი (საშ) II. საგარეო დახმარება (მალ) III. მოტივირებული და კვალიფიციური არასამთავრობო ჯგუფები (მალ)	ამოცანის გადამწყვეტა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე და საგარეო დახმარებაზე


ნახაზი №2

საქართველოს დაიული ტერიტორიების ქალის
განვითარების ურველი ეტაპი



ნახაზი №3

პერსპექტიული დაიული ტერიტორიები



ნახაზი №4

დაიული ტერიტორიების ძალიან განვითარების
ზონები



ცხრილი №1
დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი

პრობლემა	სტრატეგიული პრიორიტეტი	სტრატეგიული ამოცანა	პრიორიტეტული აქტივობა	მოსარგებლები	აღმასრულებლები	საფარადო დამფინანსებელი
საქართველოს უნებრევი და კულტურული ღირებულებების, ეკოსისტემების, კაბიტატების მოდიფიკაცია და დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნების გაღარიბება	I. ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენებისათვის საქართველოს დაცული ტერიტორიების ყველა კატეგორია თანაბრად მნიშვნელოვანია;	I. დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი ქსელის ჩამოყალიბება; 2. დაცული ტერიტორიების დამკვირვებების მართვის სრულყოფა; 3. დაცული ტერიტორიების ფინანსური მქეპნი ზმის სრულყოფა;	1. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემური დამკვირვების პროექტის მომზადება	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ფართო საზოგადოება	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
ეროვნული დაცული ტერიტორიების არასაკმარისობა	II. სისტემა უნდა განვითარდეს განვითარებული დაცული ტერიტორიებიდან მათ ერთიან ქსელად;	4. პოლიტიკური მხარდაჭერის აქტუა და ტრანსპარენტული ტრანსპარენტული ტრანსპარენტული პროგრამების განვითარება;	2. დამკვირვებელი პრიორიტეტული რეგონებში დაცული ტერიტორიების დამკვირვება და მათი სრულფასოვანი ექსპლუატაციის განხორციელების გეგმების დანერგვა	ფართო საზოგადოება კოლხეთის დაბლობის, აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის და ივრის ზეგნის მოსახლეობა	პარლამენტი გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
საერთაშორისო დაცული ტერიტორიების, ეკოსისტემების, კაბიტატების მოდიფიკაცია და დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნების გაღარიბება	III. უპირველესად უნდა შექმნას დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და შემდეგ უნდა მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;	IV. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები საჭიროებს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემურ დამკვირვებას და ეროვნული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმებთან კარგონი ზაციას;				

ცხრილი №1
(გაგრძელება)

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი

პრობლემა	სტრატეგიული პრინციპი	სტრატეგიული ამოცანა	პროორიტეტული აქტივობა	მოსარგებლები	აღმასრულებლები	სავარაუდო დამფინანსებელი
საქართველოს ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების, ეკოსისტემების, პაბიტატიების მოდიფიკაცია და დემარაზაცია, ბიომრავალფეროვნების გალარობა	I. ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვირების პროგრამების განხორციელება II. სისტემა უნდა განვითარდეს განცალკევებული დაცული ტერიტორიებიდან მათ ერთიან ქსელად	I. დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი ჩამოყალიბება; 2. დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა; 3. დაცული ტერიტორიების ფინანსური შექმნის სრულყოფა;	3. სრულფასოვანი მენეჯმენტის გეგმების დამუშავება ცენტრალური კავკასიონის, ეროვნული, ჯავა-სეთის, აჭარის, აფხაზეთის, რეგიონების, თრიალეთის, ლიხის და ცივგომორის ქედების, აგრეთვე ისეთი ცალკეული დაცული ტერიტორიებისათვის, როგორებიცაა ხევს და დავით გარეჯის დაცული ლანდშაფტები, პირიქითის ეროვნული პარკი და აღმოსავლეთ საქართველოს ალკვეთილები;	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	სავარაუდო დამფინანსებელი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
უპირველესად დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;	III. უპირველესად დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;	4. პოლიტიკური მხარდაჭერის აგება და ტრანსინსტიტუციური და ტრანსცეპტორული კოორდინაციისა და პარტნიორობის განვითარება;	4. ტიპების ეკოსისტემების დაცვისა და მოვლა პარტნიორობის მენეჯმენტის გეგმების დამუშავება და დანერგვა.	ართო საზოგადოება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	სავარაუდო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით	IV. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით					

ცხრილი №1
(გაგრძელება)

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი

პრობლემა	სტრატეგიული პრიორიტეტი	სტრატეგიული ამოცანა	პროორიტიკული აქტივობა	მოსარგებლები	აღმასრულებლები	სავარაუდო დამფინანსებელი
საქართველოს ბუნებრივი და კულტურული ღირებულების, ლანდშაფტების, ეკოსისტემების, კაბინეტების მოდულიზაცია და დამგრადობა, ბიომორფოლოგიის, ვალფეროვნების გადართობა	I. ბიომორფოლოგიის და დაცვისა და გონივრული გამოყენებისათვის საჭიროებების დასაცემი ტერიტორიების ყველა კატეგორია თანაბრად მნიშვნელოვანია;	1. დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი ქსელის ჩამოყალიბება; 2. დაცული ტერიტორიების დამგრადობისა და მნიშვნელოვანი სრულყოფა; 3. დაცული ტერიტორიების ფინანსური შექმნის სრულყოფა; 4. პოლიტიკური მხარდაჭერის ატება და ტრანსპარენტული ტრანსპორტიული კოორდინაციისა და პარტიკიპაციის განვითარება;	5. ბუნების ძეგლის კატეგორიის კანდიდატობის დასაბუთება, შეფასება, შესაბამისი კანონპროექტების მომზადება და მიღება, აგრეთვე მათი მენეჯმენტის ტექნიკის დამუშავება.	ფართო საზოგადოება	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	სავარაუდო დამფინანსებელი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
სისტემა უნდა განვითარდეს დანაცლებად და დაცული ტერიტორიებიდან მათ ერთიან ქსელად;	II. სისტემა უნდა განვითარდეს დანაცლებად და დაცული ტერიტორიებიდან მათ ერთიან ქსელად;	6. პერსპექტიული დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარე პალეონტოლოგიური ობიექტების დაცვისა და მოვლა-პატრონობის ტექნიკის დამუშავება და ადგილობრივი დაცვითი რეჟიმების დანერგვა.	6. პერსპექტიული დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარე პალეონტოლოგიური ობიექტების დაცვისა და მოვლა-პატრონობის ტექნიკის დამუშავება და ადგილობრივი დაცვითი რეჟიმების დანერგვა.	ფართო საზოგადოება	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი პალეონტოლოგიის ინსტიტუტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
უნდა შექმნას დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და შემდეგ უნდა მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;	III. უპირველესად უნდა შექმნას დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და შემდეგ უნდა მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;	7. დამინის, ტარიბანას (კონახურას ქედი), პალ-ქალაქის, ქეძთაბევის, უდაბნოს, იალუჯის მთის პალეონტოლოგიური ობიექტების დაცვის კეთილმოწყობისა და ინვენტარიზაციის საქმიანობის წარმართვა	7. დამინის, ტარიბანას (კონახურას ქედი), პალ-ქალაქის, ქეძთაბევის, უდაბნოს, იალუჯის მთის პალეონტოლოგიური ობიექტების დაცვის კეთილმოწყობისა და ინვენტარიზაციის საქმიანობის წარმართვა	ფართო საზოგადოება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი პალეონტოლოგიის ინსტიტუტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი	IV. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებისა და ეროვნული დაცული ტერიტორიების ტექნიკის დამუშავება; პარტნიორების					

ცხრილი №1
(გაგრძელება)
დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი
ალბანურულულები

პრობლემა	სტრატეგიული პრინციპი	სტრატეგიული ამოცანა	პრიორიტეტული აქტივობა	მოსარგებლები	ალბანურულულები	სავარაუდო დამფინანსებელი
დაცული ტერიტორიების გლობალური კატეგორიების ნაკლებობა	III. უპირველესად უნდა შეიქმნას დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიები და შემდეგ უნდა მოხდეს საერთაშორისო/გლობალური სტატუსების მოპოვება;	1. დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი ქსელის ჩამოყალიბება; 2. დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა; 3. დაცული ტერიტორიების ფინანსური მექანიზმის სრულყოფა; 4. პოლიტიკური მხარდაჭერის აგება და ტრანსინსტიტუციური და ტრანსსექტორული კოორდინაციისა და პარტნიორობის განვითარება	8. მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის სტატუსის კანდიდატის საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობის (დაცულ ტერიტორიათა) ეროვნული ნუსხის და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა და UNESCO-ში წარდგენა	ფართო საზოგადოება	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	სავარაუდო დამფინანსებელი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
	IV. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები საჭიროებს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემურ დაგეგმვასა და ეროვნული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმებთან კარგონიზაციას;		9. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის რამსარის უბნის სტატუსის კანდიდატის საქართველოს დოკუმენტაციის შედგენა და RAMSAR-ის ბიუროში წარდგენა; 10. ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის კანდიდატის საქართველოს დაცული ტერიტორიათა შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა და UNESCO-ში წარდგენა;	ფართო საზოგადოება	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები

ცხრილი №1
(გაგრძელება)

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი

პრობლემა	სტრატეგიული პრინციპი	სტრატეგიული ამოცანა	პროორიტიტული აქტივობა	მოსარგებლები	აღმსრულებლები	სავარაუდო დამფინანსებელი
უკიდურესად არასაკმარისი დაფინანსება, ფინანსური მექანიზმის მოუხერხებლობა.	V. სახელმწიფოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ სიერცეში დაცული ტერიტორიების სამსახურის ფინანსური და სექტორული ავტონომია დაცული ტერიტორიების წარმატებული მართვის პირობა;	2. დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა; 3. დაცული ტერიტორიების ფინანსური მექანიზმის სრულყოფა	11. არსებული ნაკრძალების და ალკვეთილების დაცვისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა და გადაუდებელი ღონისძიებების გატარება	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დაფინანსებელი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
დაცული ტერიტორიების სამსახურის ინსტიტუციური სისუსტე	4. პოლიტიკური მხარდაჭერის აგება და ტრანსპარენტული კოორდინაციისა და კარტიზორების განვითარება	12. დაცული ტერიტორიების სამსახურის კმედიტუნარიანობის ამაღლება პერსონალის წრთვნის, აღჭურვისა და მატერიალური ნაბალების საშუალებით;	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების სამსახური	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების სამსახური	არასამთავრობო ორგანიზაციები არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები
დაცული ტერიტორიების კანონმდებარე რეგულირების ნაკლებობა	13. დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის ფარგლებში ადეკვატური დეტალური რეგულირების შექმნა და მიღება.	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების სამსახური	13. დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის ფარგლებში ადეკვატური დეტალური რეგულირების შექმნა და მიღება.	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების სამსახური	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტი არასამთავრობო ორგანიზაციები

ცხრილი №1
(გაგრძელება)

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ჯამური ცხრილი

პრობლემა	სტრატეგიული პრინციპი	სტრატეგიული ამოცანა	პროგრამული აქტივობა	მოსარგებლები	აღმასრულებლები	საგარეო და მფინანსებელი და მფინანსებელი
დაცული ტერიტორიების ინფორმაციის ნაკლებობა	სტრატეგიული პრინციპი	5. დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის შექმნა;	14. საინფორმაციო სისტემისა და მონაცემთა ბაზის შექმნა დაცული ტერიტორიების ცენტრალური სამსახური	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების სამსახური	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საგარეო და მფინანსებელი და მფინანსებელი
საერთაშორისო თანამშრომლობის ნაკლებობა	სტრატეგიული პრინციპი	6. საერთაშორისო რეგიონული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება.	15. საქართველოში საერთაშორისო (ტრანსსასაზღვრო) დაცული ტერიტორიებში ჩასართველი დაცული ტერიტორიათა პროგრამების დადგენა, შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავება და რეგულირების ფუნქციის შექმნა	ფართო საზოგადოება	პარლამენტი გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო და მფინანსებელი და მფინანსებელი
			16. დაცული ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარება, აგრეთვე ცალკეულ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გაცვლის პრაქტიკის დანერგვა.	ფართო საზოგადოება დაცული ტერიტორიების სამსახური	გარემოს დაცვის სამინისტრო დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო და მფინანსებელი და მფინანსებელი

საქართველოს მიწის რესურსები

■ ჟანა ზონენაშვილი

მინა როგორც ეროვნული სიმდიდრე და რესურსი

ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთ კომპონენტს - მიწის რესურსებს - ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იმისდა მიხედვით, თუ მინა რა ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს საზოგადოებაში, მას იხილავენ ორი ასპექტით. პირველ რიგში, იგი სივრცეა, რომელიც აუცილებელია ყველანაირი წარმოებისათვის, ადამიანის დასახლებისა და ნებისმიერი საქმიანობისათვის; მეორეს მხრივ, - მინა საკვები პროდუქტების წარმოების პირობაა. მას თავისებური ახასიათებს სხვადასხვა დარგში გამოყენების პროცესში. მრეწველობაში (მოპოვებითი მრეწველობის გარდა), მშენებლობაში, ინფრასტრუქტურის დარგებში მინა წარმოადგენს ტერიტორიულ, სივრცოვებრივ ბაზას. მოპოვებით დარგში იგი ტერიტორიული ბაზაც არის და ამავე დროს - ნიადაგის შემცველიც.

სრულიად განსაკუთრებული როლი ენიჭება მიწის რესურსებს სოფლის და ტყის მეურნეობაში, სადაც იგი გვევლინება როგორც მათი განვითარების ბაზაც და, ამავე დროს როგორც შრომის მთავარი საშუალება. მიწის გარეშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესი შეუძლებელია. როდესაც ადამიანი ზემოქმედებს მიწაზე როგორც შრომის საშუალებაზე, იგი იყენებს მის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს. ამიტომაც მიწათმოქმედებაში შრომის საბოლოო შედეგი - მცენარეთა მოსავალი დამოკიდებულია ნიადაგის ნოყიერი ფენის სისქეზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, ქიმიური ნივთიერებების არსებობაზე და ა.შ., - ე.ი. ნიადაგის ნაყოფიერებაზე.

ნიადაგის ბუნებრივი თვისებების გარდა, მიწის პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს საწარმოო ძალთა განვითარების დონე და სხვა ფაქტორები, რომლებიც ცვალებადობენ როგორც დროში, ისე სივრცეში. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ნიადაგი სხვადასხვა შედეგს იძლევა სოფლის მეურნეობის განსხვავებული გაძღოლის პირობებში. ამიტომაც განასხვავებენ ბუნებრივ და ხელოვნურ, პოტენციურ და რეალურ, აბსოლუტურ და შეფარდებითს, აგრეთვე ეკონომიკურ ნაყოფიერებას.

მიწის რეალური საწარმოო შესაძლებლობა მის ეკონომიკურ ნაყოფიერებას წარმოადგენს -

ე.ი. ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიკური ფაქტორების ერთობლივ მოქმედებას მოცემულ დროში.

მიწის, როგორც წარმოების საშუალების, სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებენ მის განსხვავებებს წარმოების სხვა საშუალებებთან შედარებით. მთავარი განსხვავებებია: მიწის შეუცვლელიობა, მისი შეზღუდულობა სივრცეში, ფუნქციონირების ადგილის მდგრადობა, სხვადასხვა ნაკვეთების განსხვავებული ხარისხი და ნაყოფიერება, წარმოების პროცესში მიწის რესურსის მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობა. ეს თავისებურებები გადამწყვეტ როლს თამაშობენ წარმოების განლაგების, მისი ეფექტიანობის და მიწის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული დაცვის დროს. მინა ერთ-ერთი მთავარი ეროვნული სიმდიდრეა, რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა ესაჭიროება.

მიწის რესურსების გამოყენების და უზრუნველყოფის თავისებურება

საქართველოს ტერიტორია ლიხის ქედით ორ ნაწილად - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ იყოფა, ხოლო თრიალეთისა და მესხეთის ქედებით გამოიყოფა სამხრეთი საქართველო; ჩრდილოეთი ნაწილი კავკასიონის მაღალმთიან ოლქშია განლაგებული. საქართველო - მთიანი ქვეყანაა. მთიან ადგილებად პირობითად ჩაითვლება ის ტერიტორიები, რომლებიც ზღვის დონიდან 1 000მ ზემოთ განლაგებულია.

ბარის ზონა საქართველოს ტერიტორიის 46% მოიცავს; აქ თავმოყრილია მოსახლეობის 85%-ზე მეტი, თითქმის მთლიანად მისი მრეწველობა, მაგისტრალური ტრანსპორტი და ძირითადი სამინათმოქმედო ფართობები.

საქართველოს მიწის რესურსები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება: სასოფლო-სამეურნეო ათვისების მაღალი დონით; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით, რაც განაპირობებს მათი შენარჩუნების და არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენების შემცირების ღონისძიებათა აუცილებლობას და სხვა. ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის მინაზე მზარდი მოთხოვნილების პირობებში, მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მრავალი ეკონომიკური და გეოგრაფიული

პრობლემა მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს. საქართველოში მინის რესურსების ტერიტორიული განაწილება, სხვა ბუნებრივი კომპონენტების მსგავსად, ვერტიკალური (სიმაღლით) ზონალობის კანონს ექვემდებარება:

I ზონა (ზღვის დონიდან 250 მეტრამდე) - უპირატესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კულტურები.

II ზონა (250-500მ) - მებაღეობა-მეხოსტნეობის, მევენახეობის, ინტენსიური მემინდვრეობის (ძირითადად სიმინდი) გავრცელების არეალი.

III ზონა (500-1000მ) - ჭარბობს თავთავიანი კულტურები, ბუნებრივი საკვები სავარგულები, მეცხოველეობა.

IV ზონა (1000-1500მ) - სათიბ-საძოვრებია, მემინდვრეობა სუსტად განვითარებულია.

V ზონა (1500-2000მ) - ძირითადად სათიბ-საძოვრებია.

VI ზონა (2000მ ზემოთ) - მინამოქმედება არ არსებობს.

გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორია (69,4 ათ.კმ²) შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

- 1) სამინამოქმედო ტერიტორია — 15,8%
- 2) ბუნებრივ-სამეურნეო ფართობი (ტყე, ბუჩქნარი, სათიბ-საძოვრები) — 70,6%
- 3) სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მინა — 13,6%

საქართველოს ტერიტორიის თითქმის 14% დაკავებულია კლდეებით, მუდმივი თოვლიათა და ყინულით, ხრამებით, ქვიშებით, მდინარეებით, პიდროტექნიკური ნაგებობებით, გზებით, ქალაქებით და ა.შ. და არ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. პიდროგრაფიული ქსელით, ტბებით, ჭაობებით, წყალსაცავებით, სამელიორაციო ქსელით დაკავებულია 170 კმ²; დიდი ფართობები უჭირავთ ხრამებს, ქვიშაან და ქვიან ადგილებს - 5657 კმ², გზებს უკავიათ 1917 კმ², ხოლო დასახლებულ პუნქტებს, შენობებს და ნაგებობებს - 720 კმ².

საქართველოს მინის რესურსების გამოყენების დონე დამოკიდებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ერთობლივ ზემოქმედებაზე. რთული მთიანი რელიეფის პირობებში აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო და განსაკუთრებით, დამუშავებული მინების ფონდის შეზღუდულობა; დამუშავებული მინების უმეტესი ნაწილის მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის მელიორაციული ღონისძიებების საჭიროება. მინების სიმცირე მთიან ზონაში განაპირობებს არსებული ფონდის ყოველმხრივი დაცვის და მისი არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დანესების აუცილებლობას.

ვარგისი მინების დეფიციტს ასევე აძლიერებს მთიანი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეროზიული პროცესები, რის გამოც ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო მინების

ფონდს აკლდება გარკვეული ფართობი.

მინის რესურსების (იხ. ნახ. 1) ძირითადი მომხმარებელი სოფლის მეურნეობაა (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთელი ფართობის 43,2% შეადგენს). მისი მინის ფონდი საკმაო თავისებურებებით ხასიათდება. ეს, პირველ რიგში, მინით უზრუნველყოფის დაბალ მაჩვენებლებში ვლინდება, რითაც განპირობებულია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მცირე სულადობრივი ნორმა და პირველი მოთხოვნილების სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის დაბალი დონე. ამავე დროს, მინების სიმცირე განაპირობებს მეურნეობის ისეთ დარგობრივ სტრუქტურას, სადაც ჭარბობს შრომატევადი, ინტენსიური კულტურები, რომლებიც მინის მცირე ფართობიდან მაღალი ღირებულების პროდუქციას იძლევა.

სასოფლო-სამეურნეო მინების საშუალო სულადობრივი ნორმა საქართველოსათვის 0,5 ჰა-ს შეადგენს, ხოლო სოფლის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით — 1,1 ჰა-ს. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ეს მაჩვენებელი 1,4-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ერთ მცხოვრებზე დამუშავებისათვის ვარგისი 0,2 ჰა მინა მოდის (სოფლის ერთ მცხოვრებზე 0,4 ჰა). მინით უზრუნველყოფის მაჩვენებლები მეტად დაბალია და ჩამოუვარდება მრავალი ქვეყნის შესაბამის ნორმას, მათ შორის მეზობელი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებსაც.

საქართველოში მინით უზრუნველყოფისათვის დამახასიათებელია დიდი შიდაზონალური სხვაობები. მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის შედარებით დაბალი სიმჭიდროვე და ბუნებრივი საკვები სავარგულების მაღალი ხვედრითი წილი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო მინების დიდ სულადობრივ მაჩვენებელს, ხოლო ამავე ტერიტორიაზე სახნავი მინების ნორმა, როგორც წესი, ძალიან დაბალია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ზოგიერთი მთიანი რაიონი სარგებლობს ბარის რაიონებში არსებული მინის ნაკვეთებით. — მაგალითად, მესტიის რაიონს გამოყოფილი აქვს ნაკვეთები ხობის რაიონში, ბორჯომის რაიონს-ხაშურის რაიონში და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაცვლა განსაკუთრებით დამახასიათებელია სამომთაბარო მეცხოველეობისათვის. უმრავლეს შემთხვევაში იცვლება მთიანი რაიონების ზაფხულისა და ბარის რაიონების ზამთრის საძოვრები. გარდა ამისა, საქართველოს რიგი ადმინისტრაციული რაიონი სარგებლობს იჯარის წესით აღებული დაღესტნის ზამთრის საძოვრებით.

მინის ფონდის სამეურნეო გამოყენება დამოკიდებულია მინის რესურსების სტრუქტურაზე, მათ შემადგენლობაზე სავარგულთა სახეობების მიხედვით.

მინის ფონდის ტერიტორიული დახასიათება და სტრუქტურა

საქართველოს მინის ფონდი, 1998 წლის 1 აპრილს მდგომარეობით, 6949,4 ათ. ჰექტარს უდრის. მინის ფართობის 43%-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს, მათზე ოდნავ მეტი ტყით და ბუჩქნარით არის დაფარული (43,3%).

ტერიტორიის დიდი დიფერენცირება ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით სასოფლო-სამეურნეო მიწების ხვედრითი წონის განსხვავებებს იწვევს. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ეს მაჩვენებელი იცვლება 60%-დან 24%-მდე. ზოგადად სასოფლო-სამეურნეო მიწების წილი მინის საერთო ფონდში უფრო მაღალია აღმოსავლეთ (აქ ამ სავარგულების 70% მდებარეობს), ვიდრე დასავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით მაღალია იგი კახეთსა და ჯავახეთში; ზემო იმერეთში, აჭარასა და აფხაზეთში დიდი ფართობები ტყის მასივებზე და მთებზე მოდის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი კი 30%-ს არ აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი აქვს, სახნავი მიწების რესურსები მეტად მცირეა. საშუალოდ ასეთ მიწებზე 11% მოდის; ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია აღმოსავლეთ საქართველოში (13%), დასავლეთში კი მას ზოგჯერ ტერიტორიის 3%-ზე ნაკლები უკავია. 5%-ზე მცირეა ეს მაჩვენებელი ისეთ რეგიონებში, როგორცაა აღმოსავლეთი და დასავლეთი კავკასიონი, სამაჩაბლო, მთიანი აჭარა.

ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისების საერთო სურათი შემდეგნაირია: ბარში ათვისებული მიწები შედარებით მსხვილი მასივების სახით გვაქვს, მთიან ზონასა და ქარბტენიან კოლხეთში კი-ცალკეული კერების სახით.

ვაკე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები განლაგებულია მდინარეთა გაფართოვებულ ხეობებში, მობრტყელებულ წყალგამყოფებზე. აქ სოფლის მეურნეობას უპირატესად ინტენსიური ხასიათი აქვს.

მთიან ზონაში რელიეფის სირთულე, ციცაბო კალთების სიჭარბე, ტყის მასივების არსებობა მინის სავარგულების წვრილ-კონტურიანობას განაპირობებს. ძირითადად დამუშავებული მიწები განლაგებულია მდინარეთა ვიწრო ხეობებში, ქვაბულებსა და მთის დამრეც კალთებზე. უფრო ციცაბო ფერდობებზე სათიბ-საძოვრებია წარმოდგენილი. მიწების გამოყენებას აქ დისპერსიული ხასიათი აქვს.

მთლიანად საქართველოსათვის დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი დაქუცმაცებულობა სხვადასხვა ფორმის წვრილ ნაკვეთებად. სახნავი მიწის ფონდში ფართობის 2/3 ნაწილზე ნაკვეთებზე მოდის, მათ შორის ნახევარზე მეტს 1 ჰექტარიანი

ნაკვეთები შეადგენს. განსაკუთრებით წვრილ-კონტურიანია სავარგულები დასავლეთ საქართველოში და მთიან რაიონებში, სადაც სახნავის 80-85% 1 ჰა-მდე ნაკვეთებზე მოდის. აღმოსავლეთ საქართველოში დამუშავებული მიწების ნაკვეთების საშუალო ფართობები შედარებით დიდია. ასე, მაგალითად, კახეთში იგი 17 ჰა-ს, ქართლში — 9,6 ჰა-ს, ჯავახეთში — 7 ჰა-ს უდრის.

მინის წვრილკონტურიანობა ძირითადად განპირობებულია რთული რელიეფით, ხშირი შიდროგრაფიული ქსელით, სარწყავი მიწათმოქმედების ზონაში კი საირიგაციო არხების არსებობით, აგრეთვე გამოუყენებელი მიწებისა და ტყის მასივების „შემოჭრით“ დამუშავებულ ფართობებში.

წვრილკონტურიანობასთან ბრძოლის მიზნით მიწათმოწყობის დროს აუცილებელია დამუშავებული მიწების ზოლში განლაგებული ბუჩქების ამოძირკვა, სარწყავი და ამოსაშრობი არხების მინისქვეშა ქსელის მოწყობა, ეროზიული და ღვარცოფული პროცესების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა და ა.შ. წვრილკონტურიანობის ნაწილობრივი ლიკვიდაციაც მნიშვნელოვნად ამცირებს შრომის დანახარჯებს და ზრდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობას.

მთიანი რელიეფის უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მინის ნაკვეთების დიდ დახრილობაშიც ვლინდება. მთიან რაიონებში, სადაც რელიეფის დახრილობა ხშირად 30° აღემატება, სავლელ სამუშაოები ხელით სრულდება, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და შესაბამისად-პროდუქციის გამოსავალს.

სახნავის ძირითადი ნაწილი ბარში განლაგებულია საშუალო და მცირე დახრილობის რელიეფზე (10°-მდე). 15°-იანი დახრილობის მქონე კალთებზე დამუშავებული ფართობების მხოლოდ იზოლირებული ნაკვეთებია, სადაც თითქმის შეუძლებელია არსებული მანქანატრაქტორების გამოყენება. აქ უმეტესად პირუტყვის სამუშაო ძალას იყენებენ, ვინაიდან სპეციალური კონსტრუქციის საჭირო ტექნიკა ჯერ-ჯერობით არ არის დანერგილი.

დოც. ნ. კეკელიას მიერ შედგენილია საქართველოს მიწათმოქმედების არეალის დახრილობათა მეტად საინტერესო რუკა. დახრილობათა გრადაცია შერჩეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პირობების შესაბამისად, ტექნიკის გამოყენებისა და მორწყვის ორგანიზების გათვალისწინებით. ეს დახრილობებია: 1) 2°-მდე; 2) 2°-10°; 3) 10°-15°; 4) 15°-20°. დამუშავებისათვის საუკეთესო პირობები 2°-იანი დახრილობის მქონე ნაკვეთებზეა; დამაკმაყოფილებელი 2°-10°-მდე. ცუდი პირობებია 10°-20°-მდე ფერდობებზე, ხოლო 20° ზემოთ განლაგებულ მიწებზე მიწათმოქმედება შეუძლებელია (იხ. ცხრილი №1).

საქართველოს 28 ადმინისტრაციულ რაიონში, ამ თვალსაზრისით, კარგი პირობებია,

დამაკმაყოფილებელი - 18-ში, ცუდი -10 -ში, ხოლო მინამოქმედება შეუძლებელია 13 რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული განლაგების და სპეციალიზაციის საკითხების დამუშავებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული რაიონების და ზონების ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სანარმოო სპეციალიზაციის ზონებად: თითოეულ ზონას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განსაკუთრებული სტრუქტურა ახასიათებს. მიწის რესურსების დახასიათება ცალკეული ზონების მიხედვით ამ ტერიტორიების ნიადაგურ-ეკოლოგიური თავისებურებების სრულყოფილი ინფორმაციის პერობებში ყველაზე ზუსტად შეესაბამება ბუნებათსარგებლობის მდგომარეობების დღევანდელ ეტაპს. ზონების გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს ბუნებრივი (ნიადაგურ-კლიმატური) და ეკონომიკური (სოფლის მეურნეობის სანარმოო მიმართულება) პირობები.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გაერთიანებულია დამუშავებული მიწები (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები და ნასვენი) და ბუნებრივი საკვები სავარგულები სათიბ-საძოვრების სახით (იხ. ცხრ. №2). დამუშავებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1/3-ზე მეტი მოდის. თვით დამუშავებული მიწების სტრუქტურა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია: აღმოსავლეთში ჭარბობს სახნავი, დასავლეთში კი - მრავალწლიანი ნარგავები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 20%-ზე მეტი). აღმოსავლეთ საქართველოში მრავალწლიანთა წილად სასოფლო-სამეურნეო მიწების 7%-ზე ნაკლები მოდის.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა იცვლება სოფლის მეურნეობის სანარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით (იხ. ცხრ. 3). დამუშავებული მიწების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონები ხასიათდება (თბილის-რუსთავისა და ქუთაისის შემოგარენში 25-26%). საკმაოდ მაღალია დამუშავებული ფართობების წილი კახეთსა და ქართლში (22-27%). კოლხეთის სუბტროპიკული მემცენარეობისა და ჯავახეთის მთიანეთის ფარგლებში დამუშავებულ მიწებს 18-18,5% უკავიათ. მომდევნო ჯგუფში თავსდება იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთისა და აჭარის სუბტროპიკული კულტურების ზონები (9-12%). სამაჩაბლოსა და სამცხე-თრიალეთში ეს მაჩვენებელი 6-7%, ხოლო დას. კავკასიონში იგი 1%-საც ვერ აღწევს.

სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების ძირითადი მასივები ბარის ზონაში, ზღვის დონიდან 1000მ-მდეა განლაგებული. მიწათმოქმედების ზედა ზღვარი ჯავახეთის პლატოზე 2200მ-მდე აღწევს, სადაც მოსწორებული ზედაპირები ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგებითაა წარმოდგენილი.

სულ სხვა სურათია ბუნებრივი საკვები სავარგულების განლაგებაში, სადაც საძოვრების უმეტესი ნაწილი 1000მ ზემოთ მდებარეობს. საძოვრების სიმაღლით განაწილებასთან დაკავშირებულია მათი გამოყენების სეზონურობა: აღმოსავლეთ საქართველოს ბარის საძოვრები გამოიყენება ზამთრის და მთელი წლის ძოვებისათვის, მთიან ზონაში კი მხოლოდ ზაფხულობით.

მიწის სავარგულების დინამიკა და ტრანსფორმაცია

მიწის სავარგულები გამუდმებულ ცვლილებას განიცდის. სანარმოო ძალთა განვითარება მათი ტერიტორიული განლაგების არეალის გაფართოებას მოითხოვს; ეს გარემოება თავის მხრივ იწვევს მიწის სავარგულების თანაფარდობის და მოსარგებლეთა შემადგენლობის შეცვლას. სავარგულების სტრუქტურას და მათი ხარისხის ტრანსფორმაციას ასევე განაპირობებს ახალი მიწების ათვისება, აქტიური მელიორაციული ღონისძიებები და სხვ. ამასთან, ეროზიული პროცესები, მიწების დამლაშება ან დაჭაობება, დატბორვა და სხვა არახელსაყრელი მოვლენები იწვევენ სავარგულების ფართობების შემცირებასა და მიწის ფონდის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუარესებას. ამრიგად, მიწის რესურსები განიცდიან განუწყვეტელ რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს.

თანამედროვე პირობებში, ტექნიკურ პროგრესთან და ურბანიზაციასთან დაკავშირებით, მიწების გამოყენების სტრუქტურის ცვლილებები აგრარულ მოთხოვნებს სცილდება.

გლობალურ მასშტაბში იზრდება სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენება არა აგრარული საჭიროებისათვის, კერძოდ კი სამრეწველო და საბინაო მშენებლობისათვის, გზების, აეროდრომების, ჰიდროობიექტების და სხვა ნაგებობებისათვის. პროგნოზების თანახმად, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და სურსათის უკმარისობის ერთ-ერთ არაპირდაპირ მიზეზად დარჩება. მსოფლიოში სურსათის დეფიციტის გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, არასაკმარისად იკვებება 450 მლნ, ხოლო ფაქტიურად შიმშილობს 75მლნ. ადამიანი (13). ზოგიერთი მეცნიერი-აგრარიკოსი, მიწის ფონდის სტრუქტურის შესწავლის დროს, აღნიშნავს რა სახნავი მიწის შემცირების პროცესს, უტოლებს მას „გაუდაბნობას“. ამრიგად, „გაუდაბნობა“ იხილება ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე იგივე სახელწოდების ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესი. ამ ცნებაში იგულისხმება გარემოს ყოველგვარი შეცვლა, რომლის შედეგად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ტერიტორიების გარდაქმნა „უდაბნობად“ განიხილება, როგორც ეკოსისტემის დარღვევის შეუქცევადი პროცესი, გამონკვეული როგორც კლიმატური (გვალვა), ისე

ანთროპოგენური ფაქტორებით. ამ პროცესის ინდიკატორებად შეიძლება ჩაითვალოს დამუშავებული მიწების შემცირება, პირუტყვის სულადობის შეკვეცა, მთიანი რაიონების ინტენსიური გაუკაცრიელება (12). სხვადასხვა მიზეზის გამო მიწების გლობალური დაკარგვა მსოფლიოში წელიწადში 5-7 მლნ. ჰა-ს უახლოვდება. ამის გარდა, საშუალოდ ერთ მცხოვრებელზე მოდის 0.1 ჰა მიწა, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო, საწარმოო და კულტურული მიზნებისათვის. ეს წელიწადში 8-10 მლნ. ჰა-ს შეადგენს. მომავალი 25-30 წლის განმავლობაში, არსებული პროგნოზების მიხედვით, ნიადაგის შეუქცევი განადგურება 700-800 მლნ. ჰა-ს მიაღწევს (7). ამის გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მსოფლიო პრობლემად იქცა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურის სივრცობრივ-დროითი ანალიზი ხელს უწყობს რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთკავშირების შესწავლასა და რეგულირებას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების პროცესში ჩნდება. მიწების დინამიკის ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს მიწის ფონდის სასოფლო-სამეურნეო ათვისება შემცირდა (3447, 2 ათ.ჰა 1950წ. და 2991,1 ათ. ჰა 1998წ.); 1950წ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთელი ტერიტორიის 49,6% შეადგენდნენ, დღეისათვის კი მათი წილი 43%-მდე დავიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კლება სახნავ მიწებში აღინიშნება (მოცემულ პერიოდში 270,3 ათ. ჰექტარით). მიწების ეს კატეგორია ყველაზე ინტენსიურად მცირდებოდა 60-80-იან წლებში, როდესაც ქვეყნის აგრარული პოლიტიკა მიმართული იყო სუბტროპიკული მეურნეობის სწრაფი განვითარებისაკენ, ხოლო მარცვლეულის წარმოება დაკნინდა და მაქსიმალურად შეიზღუდა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, მიწების დაწყებული პრივატიზაციის პროცესის პარალელურად, სახნავი სავარგულების თანდათანობითი ზრდა იწყება, რომელიც ძირითადად მარცვლეული კულტურების გაფართოებითაა განპირობებული (1990 წლიდან 1998 წლამდე სახნავის ფართობი 90,5 ათ. ჰექტარით გაიზარდა).

მნიშვნელოვნად შემცირდა დამუშავებული მიწების ფართობები, თუმცა 1990 წლიდან შედარებითი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა (1990-1998წ.წ. 128,7 ათ. ჰა). აღსანიშნავია, რომ დამუშავებაში მყოფი მიწების მაჩვენებლები სწორედ 1990 წელს ყველაზე დაბალ ზღვრამდე მივიდა (933,8 ათ. ჰა). ამ პერიოდიდან, ქვეყანაში განვითარებული ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, სასოფლო-სამეურნეო წარმოება კატასტროფიულად დაეცა (მაგალითად, 1992 წელს დამუშავებული იყო მხოლოდ 737 ათ. ჰა, რაც 21/2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე 1950წელს). შეცვლილია

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაც: გაზრდილია ნაკლებ ინტენსიური ბუნებრივი საკვები სავარგულების ხვედრითი წილი, ხოლო დამუშავებული მიწები გამუდმებულ კლებით ტენდენციას ავლენენ (1950-1990წ.წ. სათიბ-საძოვრების წილი გაიზარდა 20,5 პუნქტით, ხოლო დამუშავებული მიწების წილი, შესაბამისად, შემცირდა - იხ. ნახ. 3).

როგორც აღინიშნა, შემდგომ წლებში ეს ტენდენცია უკეთესობისაკენ ცვლილებას განიცდის. თუ 1990 წელს სათიბ-საძოვრებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 66,5% მოდიოდა, 1998 წელს ეს მაჩვენებლები 64,5%-ით შეიცვალა, ხოლო დამუშავებული ფართობების წილი, შესაბამისად, 2%-ით გაიზარდა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობების ზრდა ძირითადად ხდება საძოვრების ხარჯზე. საძოვრების კატეგორიაში გადავიდა მიწები, რომლებიც ადრე არ იყო სოფლის მეურნეობაში გამოყენებული; მეორეს მხრივ, საძოვრების ზრდა ხდებოდა მიტოვებული სახნავის ხარჯზეც, რაც „გაუდაბნოების“ პროცესის გარკვეულ გამოვლინებას წარმოადგენს. დამუშავებული მიწების უფრო დაბალ კატეგორიაში გადაყვანა გამოიწვია ეროზიის, ღვარცოფული პროცესების, მეორადი დამლაშების წინააღმდეგ არასაკმარისმა ბრძოლამ, დახრილი ნაკვეთების მიტოვებამ და ა.შ.

მრავალწლიანი ნარგავების ფართობები 1950-1970წ.წ. პრაქტიკულად სტაბილური იყო, თუმცა ამავე პერიოდში იზრდებოდა მათი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურაში (1950წ.-6,8%, 1960წ.-8,2%, 1975წ.-8,7%, 1980წ.-9,6%). შემდგომ წლებში, განსაკუთრებით 1990 წლის მომდევნო პერიოდში, მრავალწლიანი კულტურების ადგილზე საქართველოს ბევრ რეგიონში მარცვლეული და სხვა სასურსათო კულტურები გაშენდა. დასავლეთ საქართველოში ჩაიშენა ცვლა სიმინდით, აღმოსავლეთში კი (ქართლში) - ხეხილის ბაღები ხორბლით. კახეთში ამოძირკული ვენახების ნაცვლად საზამთროც კი დათესეს. საბედნიეროდ, ეს პროცესი ნელ-ნელა რეგულირდება და თვითონ ცხოვრება კარნახობს დამუშავებული მიწების ისეთ სტრუქტურას, რომელიც მეტად პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. მრავალწლიანი ნარგავების წილი თითქმის თანაბრად განაწილებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, თუმცა გათანაბრება მოხდა ძირითადად 80-იან წლებში, როცა აღმოსავლეთ რაიონებში აითვისეს მიწის საკმაოდ დიდი მასივები (ძირითადად ვენახის გაშენების მიზნით). განსაკუთრებით მაღალია მრავალწლიანთა ხვედრითი წილი კახეთში (ვენახები) და კოლხეთის ზონაში (ჩაი), რომელთა წილად ამ ნარგავების 47% მოდის.

თავდაპირველად მრავალწლიან ნარგავთა ფართობები ახალი ნაკვეთების ათვისების ხარჯზე იზრდებოდა. ასე, მაგალითად, კახეთში

ბევრგან ვენახი გააშენეს ფართობებზე, სადაც ადრე ბუჩქნარი იყო; ქართლში ახლად ათვისებულ მიწებზე ხეხილის ბაღები გააშენეს. მაგრამ გარდა მიწებისა, რომელთა ათვისება მორწყვითა და ამოშრობით იყო განპირობებული, მრავალწლიანების გაშენება ზოგიერთ რაიონში მიმდინარეობდა საუკეთესო სახნავი მიწების ხარჯზე, რამაც უარყოფითად იმოქმედა მემინდვრეობისა და მარცვლეული მეურნეობის განვითარებაზე. მარცვლეულის ადგილს, ამის გარდა, 70-იან - 80-იან წლებში, აგრეთვე საკვები კულტურები (უალრესად დაბალი მოსავლიანობით) იკავებდნენ. ეს პროცესი ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა სუსტად უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების სურსათით და განსაკუთრებით, ხორბლით. საქართველო, ასრულებდა რა საკავშირო დაკვეთას სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების წარმოებაზე, არ აწვდიდა საკუთარი მოსახლეობის მემარცვლეობისა და მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგებისათვის საჭირო დარგებს. ამან კი ქვეყანა, დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა.

მოსახლეობის მიწით უზრუნველყოფის დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შემცირდა დამუშავებული მიწების ნორმა თითქმის ორჯერ, ხოლო სახნავით-კიდევ უფრო მეტად. მიწით უზრუნველყოფის სულადობრივი ნორმის შემცირება ორი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია: ერთის მხრივ, იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, მცირდება დამუშავებული მიწების აბსოლუტური ფართობი. ასე, მაგალითად, 1959-1998წ.წ. მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 25%-ით; ამავე პერიოდში დამუშავებული მიწების ფართობი შემცირდა თითქმის იგივე ტემპით. ამრიგად, დამუშავებული მიწების სულადობრივი ნორმის კლებაზე თანაბრად იმოქმედა ორივე ფაქტორმა.

ზოგადად სასოფლო-სამეურნაო სავარგულების ტრანსფორმაციის სურათი შემდეგნაირია: დამუშავებული მიწების დიდი ნაწილი გადაყვანილია ნაკლებად ინტენსიურ სავარგულებში-მოუვლელ და დაბალპროდუქტიულ საძოვრებში, ხოლო გარკვეული ფართობები საერთოდ გამოითიშა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, ე.ი. გადაყვანილია სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელ მიწებში. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდს გამოაკლდა 50 ათას ჰექტარამდე. ამავდროულად, არასასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის ათვისებული იყო 150 ათ. ჰექტარამდე სხვა მიწები, ანუ მთლიანად 200 ათასი ჰექტარი. საშუალოდ ყოველწლიურად არასასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის გამოიყენებოდა 4 ათ. ჰექტარი ახალი მიწა.

მინათსარგებლობა

მინათსარგებლობა პოსტსაბჭოურ საქართველოში ძირეულად შეიცვალა. თუ ადრე მთელი მიწა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მთავარ მოსარგებლებს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენდა, დღეს ეს სურათი კარდინალურად შეიცვალა (იხ. ცხრ. 5,6).

საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგად განხორციელდა მიწაზე სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების ფორმით შეცვლა, რის შედეგად შეუქცევადი და გარანტირებული გახდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი წყობის ტრანსფორმაციის და საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესი. მოსახლეობაზე საკუთრებაში და იჯარით გაიცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები; სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა და გაიცა იჯარით მეტესლეობის სანაშენე და საცდელ-სამეცნიერო მიზნით გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სასაზღვრო ზოლებში მოქცეული მიწები, მალალმთიან, მათ შორის ალპურ ზონაში განლაგებული საძოვრები (4).

აგრარული რეფორმა და მიწების პრივატიზაცია

1990-1995წ.წ. საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის სანარმოო და ტექნიკური პოტენციალი. ფუნქციონირება შეწყვიტა ათობით მეცხოველეობის კომპლექსმა, მეფრინველეობის ფაბრიკამ და სასათბურე კომბინატმა, ამოიძირკვა მრავალი ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები. მაგალითად, ხეხილის ფართობი 1990 წლის 101,4 ათ. ჰექტარიდან 1995 წელს 60 ათასამდე შემცირდა, ხოლო ვენახი შესაბამისად - 101,6 ათ. ჰექტარიდან 65 ათას ჰექტარამდე. შემცირდა აგრეთვე ჩაის (15ათასი ჰექტარით) და ციტრუსების (5,4 ათასი ჰექტარით) საერთო ფართობი.

ამავე პერიოდში დაიწყო საზოგადოებრივ მეურნეობებიდან საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესავსებად (აგრეთვე ქალაქის მოსახლეობისათვის საბაღე ნაკვეთებისათვის) მიწშენელოვანი ოდენობით მიწის ფართობის გაცემა, რამაც არსებითად შეცვალა როგორც მინათმოსარგებლეთა, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკუთრებითი სტრუქტურა. 1996 წლის დასაწყისში კერძო საკუთრებაში იყო სახნავი მიწების 41% და მრავალწლიანი ნარგავების 56% (6).

მიწის პრივატიზაციის პროცესი აგრარული რეფორმის ცენტრალური ღერძია. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის თანახმად, გლეხურ მეურნეობას, მებოსტნეობისა და მებაღეობის ამხანაგობებს, აგარაკების მფლობელებს ადრე გამოყენებული მიწის ფართობი (შესაბამისად

1,25 ჰა ბარში, 5 ჰა მთაში, 1500მ² და 600მ²) - კერძო საკუთრებაში უფასოდ გადაეცათ. ამრიგად, საქართველოში მიწის მესაკუთრენი გახდნენ არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის მცხოვრებნიც. მიწის მესაკუთრეა საქართველოს მოქალაქე და საქართველოს სახელმწიფო, რომელიც მიწას გასცემს იჯარით, სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარის შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალოდ ერთ კომლზე მიწის ფართობი. თუ 1990 წელს ერთ კომლზე 0,26 ჰა მიწა მოდიოდა, 1995წ. იგი 0,8 ჰა-ს შეადგენდა. გაიზარდა კომლთა რაოდენობაც. 1996წ. ქვეყანაში იყო 952 ათასი კომლი, მ.შ. 692,6 ათასი-სოფლად. მათ საკუთრებაში არსებული მიწის საერთო ფართობებში 9 ათასი ჰექტარი კოლექტიური მეზაღვების ამხანაგობებს და მოაგარაკეებს ეკუთვნით. 1990 წელს საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 47% საკარმიდამო მეურნეობაზე მოდიოდა, 1996წ. მან 80%-ზე მეტი შეადგინა (6).

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ადასტურებს, რომ დეკოლექტივიზაციის სტიქიურად დაწყებულმა პროცესმა სოფლის მეურნეობაში მეტად არასახარბიელო სიტუაცია ჩამოაყალიბა. დაინგრა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობანი, ხოლო ახალი ფორმები ნელა იკიდებს ფეხს. ასეთ პირობებში აუცილებელია როგორც პრივატიზაციის პროცესის გააქტიურება და სწორად წარმართვა, ისე მეურნეობათა სხვადასხვა ფორმების რაციონალური შეხამება (გლეხური მეურნეობა, კოოპერატივები, ფირმები, ასოციაციები, სააქციო საზოგადოებები და ა.შ.). ამავე დროს, სოფლის წარმოების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ფორმებს სახელმწიფოს მხრიდან დიდი დახმარება სჭირდება (ცხრილი №7).

1998 წლის 1 აპრილისათვის სოფლის მცხოვრებ 693,4 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 717,3 ათ. ჰექტარი მიწის ფართობი (საშუალოდ 1,03 ჰა), ხოლო ქალაქად მცხოვრებ 326,4 ათას ოჯახს - 72,4 ათ.ჰა (საშუალოდ 0,22 ჰა), ანუ მთლიანად გადაეცა 918 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 789,7 ათ. ჰა-ს შეადგენს (მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 26,4%), სახნავის საერთო მოცულობის 55%, მრავალწლიანი ნარგავების 66,9% სათიბების 33,9% და საძოვრების 7,0%.

მიწის პრივატიზაცია არ ჩატარებულა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მაგრამ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეფორმამდე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სარგებლობაში რიცხული 21,9 ათ. ჰა, აქედან 19,3 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გადავიდა მათ კერძო საკუთრებაში.

იჯარით გაცემულია 756,9 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,3%), აქედან დამუშავებულ მიწებზე მოდის 27% (286,9 ათ.ჰა).

გაუცემელი დარჩა 1444,5 ათ. ჰა, ანუ მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 48,3%. გაუცემელი 1222,1 ათ. ჰა საძოვრიდან 919,4 ათ. ჰა ალპური საძოვარია, 235,3 ათ. ჰა - ზამთრის საძოვარია.

საქართველოში აგრარული რეფორმა დაიწყო 1992 წელს, როდესაც გლეხებს, რომლებიც ფლობდნენ მიწის საკარმიდამო ნაკვეთს, ამ ნაკვეთის ფართი გაუდიდეს 1,20 ჰა-მდე, ხოლო 1996 წლის მარტიდან მოსახლეობისათვის გაცემული მიწა გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად. ამავე დროს, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაქმნელად, მოქალაქეებს სამეურნეო საქმიანობისათვის უფლება მიეცათ იჯარის ქირის წესით აიღონ მიწა.

1988 წელს მსხვილი მეურნეობები მთელი სასოფლო სამეურნეო მიწების 87%-ს ფლობდნენ, საკარმიდამო ნაკვეთებზე კი სავარგულების მხოლოდ 5,5% მოდიოდა. მიწა სახელმწიფოს ეკუთვნოდა, რომელიც უფასოდ გასცემდა მას მიზნობრივი დანიშნულებისათვის. პრაქტიკულად მოქმედებდა საადგილმამულო ურთიერთობების მხოლოდ ერთი ფორმა - მიწათსარგებლობა. ასეთმა ვითარებამ მიწის „არავისობა“ და გლეხის გადაგვარება მოიტანა.

აგრარული რეფორმის მთავარი ქვაკუთხედი სწორედ საადგილმამულო რეფორმაა, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მიწა კერძო საკუთრებად ცხადდება, ხოლო მიწის გარკვეული ნაწილი რჩება სახელმწიფო საკუთრებად. მიწა მფლობელობაში გადაეცემა გლეხურ მეურნეობებს, კოოპერატივებს, სახელმწიფო და სხვა საწარმოებს. მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობისა და მიწათსაკუთრების უფლების დაკანონებასთან ერთად, ახალი ეკონომიკური მექანიზმის ამუშავების ძირითად საშუალებად მიჩნეულია მიწის გადასახადი.

საქართველოში მიწის პრივატიზაცია დაიწყო სამოქალაქო ომის დროს, სათანადო მეთოდოლოგიური და მატერიალური ბაზის მოუმზადებლობის პირობებში. ცხადია, მიწის რეფორმა არსებითი დარღვევებით ხასიათდებოდა. ადგილი ჰქონდა მიწების თვითნებურ მიტაცებას, მრავალწლიანი ნარგავების გაჩეხვას და ა.შ. მიწების პრივატიზაციის შედეგად სავარგულები დაქუცმაცდა და მრავალი მეურნეობა ნახევრადნატურალურ ხასიათს ატარებს. ასეთი ხარვეზები ყველა ახლად დაწყებულ საქმეს თან სდევს. დროთა განმავლობაში, იმედია, მიწის რეფორმა სწორ მიმართულებას მიიღებს და სოფლის მეურნეობის აღმავლობის მთავარ საფუძველად იქცევა.

მინების შეფასება

მინების ხარისხის აღრიცხვა და სათანადო შეფასება მისი რაციონალური და მაღალ-ეფექტიანი გამოყენების ძირითადი და აუცილებელი პირობაა. ის, რომ საბჭოურ პერიოდში მინა უფასო იყო, მეტად ნეგატიურად იმოქმედა მინისადმი დამოკიდებულებაზე, წარმოშვა მისი უყაირათო გამოყენება და დაუფასებლობა. მინის ფასის დადგენა ან მისი ღირებულების მეცნიერულად დასაბუთებული კომპენსაციები სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან მისი ამოღების დროს, მინების ხარისხის შესახებ მონაცემების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამრიგად, მინების გამოყენების კონტროლი შეუძლებელია მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინვენტარიზაციის გარეშე. ყოველი მინათმფლობელი ეკონომიკურად დაინტერესებული უნდა იყოს მინის ყაირათიანი გამოყენებით. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია სათანადო მეთოდისა და ქვეყნის მინის კადასტრის შედგენა.

საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი, ნიადაგური, ეკონომიკური და სხვა პირობების დიდი მრავალფეროვნება მინის კადასტრის და შეფასების მეთოდის დამუშავებას მეტად ართულებს. სერიოზული ეკონომიკური რეფორმების ჩატარება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პოსტსაბჭოურ პერიოდში შეუძლებელია მინაზე კერძო საკუთრების და მინის თავისუფალი ბაზრის არსებობის გარეშე. უმნიშვნელოვანესია მინის საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მინის ყოველი ნაკვეთის ერთგვაროვან აღრიცხვას და შემდგომ - დიფერენცირებულ შეფასებას. მინის ნაკვეთის შეფასებისას უნდა აღირიცხოს და რაოდენობრივად დაფიქსირდეს ყველა იმ ფაქტორის მოქმედება, რომელიც ამ ნაკვეთზე მოქმედებს. ყოველი ნიშან-თვისება, რომელიც მინის ნაკვეთის ფუნქციონირებას ხელს უწყობს ან ხელს უშლის, უნდა განიხილოს როგორც გარკვეული ფაქტორი.

ძირითადი ფაქტორების დახასიათება, რომელიც შემუშავდა სააუდიტორო მიზნებისათვის (14), შემდეგია:

I ფაქტორი - ნაკვეთის რესურსების თვისობრიობა. აქ იგულისხმება:

- ნაკვეთის ა) ფართობი; ბ) კონფიგურაცია; გ) მოცულობა; დ) რელიეფი; ე) ადგილობრივი ბუნებრივი პირობები ანუ მიკროგეოგრაფიული მონაცემები.

ფუნქციურ მონაცემებში შედის: ა) განაშენიანებული ან თავისუფალი ტერიტორია; ბ) სასოფლო-სამეურნეო, ტყის, სამონადირო, საკურორტო და სხვა სავარგულები; გ) განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყენებული ან გამოყენებისათვის ნაგარაუდები და უვარგისი მინები.

ეკოლოგიური მონაცემები: ეკოლოგიური დარღვევის საფრთხის არსებობა, არარსებობა ან

მოსალოდნელობა.

ეკონომიკური მონაცემები: მინის ნაკვეთის ნაყოფიერება, შესაბამისი კულტურების მოსავლიანობა, სხვა შემოსავალი მისი სამეურნეო გამოყენების შემთხვევაში.

II ფაქტორი - ადგილმდებარეობის პოტენციალი, რომელიც შეიცავს ქვეფაქტორებს: ა) პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების რაიონების მიმართ ობიექტის მდებარეობა; ბ) დაშორება ქალაქის ცენტრიდან, მაგისტრალური გზიდან, სატრანსპორტო კვანძიდან და ა.შ.

III ფაქტორი - ნაკვეთის ურბანიზებული ხარისხი (მუშახელით და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა).

IV ფაქტორი - საბაზრო მოთხოვნა - ქვეფაქტორებით: ა) ინდივიდუალური და საბაზრო მოთხოვნის არსებობა; ბ) დეფიციტურობის ხარისხი; გ) ნაკვეთის ფაქტიური ვარგისიანობა.

V ფაქტორი - რისკი და გაურკვევლობა - ქვეფაქტორებით: ა) სამართლებრივი უზრუნველყოფა; ბ) ურთიერთობები, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო და მუნიციპალური და სხვა სუბიექტებთან გართულებების ნიადაგზე; გაუთვალისწინებელი ხარჯები მინის ნაკვეთის ათვისების და ექსპლოატაციის პროცესში; დ) არანინასწარმეტყველებადი ეკოლოგიური, სოციალური თუ სხვა უბედურებები.

თითოეული ფაქტორის შეფასების შემდეგ მიიღება კომპლექსური კოეფიციენტი, რომელიც დიდი დეტალიზაციით ასახავს ამა თუ იმ ნაკვეთის თვისებებს და ღირებულებას. წარმოდგენილი მეთოდიკა (14) განსაკუთრებით მოსახერხებელია საქალაქო ან ურბანიზებული ტერიტორიების შეფასებისათვის.

მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაანესა მინის გადასახადი სასოფლო-სამეურნეო მინებისათვის. ფასები დადგენილია ნაკვეთის ადგილმდებარეობისა და ხარისხის მიხედვით, თუმცა ცხადია, რომ საქართველოში, სადაც ბუნებრივი პირობები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, ასეთი განზოგადოებული მონაცემები ნაკვეთის რეალურ ღირებულებას ვერ ასახავს. 1995 წლის 1 იანვრიდან საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობისათვის დაწესდა გადასახადი. თუმცა მესამე წელიწადია, სოფლად არ წყდება დავა-კამათი გლეხობასა და ფულის ამკრეფთა შორის (იხ. ცხრილი №8).

მინის რესურსები და ეკოლოგია

მინის რესურსების ეკოლოგიური პრობლემები, საქართველოში მიმდინარე კრიზისის პირობებში, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს. ამასთან, მხედველობაში მისაღებია საქართველოს მცირემინიანობა და ნიადაგის ნაყოფიერების კატასტროფიული შემცირება ფინანსური კრიზისის ფონზე.

სავარგულების დიდი ნაწილი განიცდის ნიადაგის ეროზიასა და დეფლაციას, სერიოზულ კომპლექსურ რეკონსტრუქციას მოითხოვს სარწყავი მიწები. ნიადაგის ზედა ფენა დეგუმფიკაციას განიცდის. მიწების გადანაწილებამ გამოიწვია თესლბრუნვის დარღვევა, არ ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებები. ორგანული და მინერალური სასუქები მინიმალურად და ვადების დარღვევით გამოიყენება.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, ეროზიას განიცდის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33%. ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში სავარგულის ერთი ჰექტარიდან ირეცხება 100-300 ტონა ნიადაგი, დასავლეთ საქართველოში - 150-200 ტონა, რის გამოც დაბალინტენსიურ სავარგულებად იქცა 25 ათასი ჰექტარი, 20 ათასი კი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. ენერგოკრიზისის და უკონტროლოების გამო გაჩეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერეს ქარისმიერი ეროზია. ნიადაგები დაბინძურებულია მძიმე ტოქსიკური ლითონებით. განსაკუთრებით მაღალია ტოქსიკური ელემენტების შემცველობა საავტომობილო გზების გასწვრივ 10-კილომეტრიან ზოლში, დაბალი ხარისხის სანავის გამოყენების პირობებში.

დამლაშებული და ბიცობიანია 218 ათ. ჰექტარი, მათ აღსადგენად კი არავითარი ღონისძიება არ ტარდება, რადგან არ არის სათანადო დაფინანსება. ბოლო 7 წლის მანძილზე ეროზიის შედეგად მართო სახნავი ფართობი 11 ათასი ჰექტარით შემცირდა. მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის კი არსებული 20-წლიანი პროგრამით, საჭიროა ყოველწლიურად 180-200 მლნ. ლარით დაფინანსება (4).

საქართველოსათვის, განსაკუთრებით კი

მისი დასავლეთი რაიონებისათვის, სავალალო შედეგები მოიტანა ჩერნობილის კატასტროფამ. რადიოლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით, მაღალი რადიოაქტიურობა აღინიშნება ჩაის პლანტაციებში.

მთლიანად შეწყვეტილია კულტურულტექნიკური და ჰიდროტექნიკური მელიორაციები. ამავე დროს, არსებობს დამუშავებული ფართობების გაზრდის შესაძლებლობები ზოგიერთი სათიბის, ნასვენ მიწების ხარჯზე, აგრეთვე ბუჩქნარის ამოძირკვის, ქვიშიანი ფართობების და ა.შ. ათვისების გზით. მიახლოებითი გაანგარიშებით, დახრილი ფერდობების საერთო ფართობი 1,5 მლნ. ჰექტარს უახლოვდება; უმეტესობის ექსპოზიცია სამხრეთული და სამხრეთ-დასავლეთურია, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის ხეხილის და ვაზის გაშენებისათვის. ამ მიწების ათვისება შეიძლება დატერასების გზით. როგორც ცნობილია, ტერასები ამცირებენ ზედაპირული წყლების მოქმედებას, რაც საგრძნობლად ამაგრებს ნიადაგს. უნდა აღინიშნოს, რომ მიწების პრივატიზაციის პროცესში გლეხებმა ნაწილობრივ გააუმჯობესეს მიწათსარგებლობა და ბევრ ადგილას აითვისეს მცირე ზომის, ზოგჯერ დახრილი ნაკვეთები, რომელთა გამოყენება მსხვილი სახელმწიფო მეურნეობებისათვის არ იყო ხელსაყრელი.

ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს აგროლანდშაფტის მიზანდასახული გაუმჯობესება მისი ეკოლოგიური ღირებულების ამაღლების გზით. სოფლის მეურნეობისათვის ნაკლებად ეფექტიანი მიწის რესურსები მიზანშეწონილია გამოიყენონ ქვეყნის მეურნეობის სხვა დარგებმა, კულტურული, რეკრეაციული ან სხვა მიზნებისათვის (2).

ლიტერატურა

1. ბერიძე ტ., ლოლობერიძე ა. მიწათმომწყობის სისტემის რეორგანიზაცია და მიწის სახელმწიფო კადასტრი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №123, 1996. 26 ივნისი
2. დიდებულიძე ა. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები. გაერო, თბილისი, 1997.
3. ზონენაშვილი ე. საქართველოს მიწის რესურსების რეგიონალური თავისებურებანი. წიგნში „საქართველოს მრსახლეობა და მეურნეობა“, თბილისი, 1988.
4. საქართველოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები. სტატ. კრებული, თბილისი, 1997.
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატორული გეგმა. თბილისი, 1996.
6. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997.
7. Кекелиа Н. Статистико-картографический метод выявления и оценки природного земельного-ресурсного агропотенциала горных стран (на примере Грузии). წიგნში „პირველი პოლონურ-ქართული გეოგრაფიული სემინარის მასალები“. თბილისი, 1996.
8. Ковда В.А. Обзор потерь почвенного покрова в мире. „Почвоведение“, 1983, #7
9. Новаковский Л.Я. Экономические проблемы использования и охраны земельных ресурсов. Киев, 1985.
10. Природные ресурсы Грузинской ССР. Том VI-сельскохозяйственные ресурсы. М, 1965
11. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. „Мецниереба“, Тб 1991.
12. Учет и оценка сельскохозяйственных земель, Под ред. К.И. Иванова, М, 1963.
13. Шнайдер Х. Превращение отдельных районов в пустыни. 1980, РЖ, геогр, сводн. том, М, 1981, #8
14. Buring P. Landdegradatie op werelshaal en de gevolgen voor de werledoedsel-voorziening. KNAG geog. tijdschr. NieuweReeks-, 1980, #15
15. Neidze V. Valuation of Assets. Bega-Consulting, Th., 1995.

ე. ზონენაშვილი
1998წ. 28 სექტემბერი

ცხრილი 1

საქართველოს სამინათმოქმედო ტერიტორიის დახრილობათა განაწილება*

0-2°		2°-10°		10°-20°		20° და ზემოთ		სულ საქართველოში	
კმ²	%	კმ²	%	კმ²	%	კმ²	%	კმ²	%
13545.9	42.3	9237.1	28.8	5146.7	16.0	4166.7	12.9	32096.4	100.0

ცხრილი 2

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა (1998 წლის 1 აპრილისათვის)**

სავარგულის დასახელება	ათასი ჰა	%
სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სულ	2991,1	100.0
მათ შორის:		
დამუშავებული მიწები	1062.5	35.5
სახნავი	285.0	26.2
მრავალწლიანი ნარგავები	277.5	9.3
სათიბები	140.6	4.7
საძოვრები	1788.0	59.8

*Кекелиа Н. Статистико-картографический метод выявления и оценки природного земельно-ресурсного агропотенциала горных стран (на примере Грузии). წიგნში „პირველი პოლონურ-ქართული გეოგრაფიული სემინარის მასალები“.

**ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით

მინის ფონდის სტრუქტურა
(სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონების მიხედვით %-ით 1998წ.)*

ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა	საერთო ფართობი	სახნავი	მრავალწ. ნარგავები	სათიბ - საძოვრები	სულ სას.-სამ საფარგულე	ტყე და ბუჩქნარი	დანარჩენი
1. ალაზნის ვაკისა და გარე კახეთის მევენახეობის	100.0	15.2	6.3	29.6	51.2	33.4	15.4
2. ქვემო ქართლის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის	100.0	21.0	4.4	20.9	46.3	34.9	18.8
3. აღმ. საქართველოს მთის მეცხოველეობის	100.0	3.4	0.6	40.8	44.8	30.9	24.3
4. შიდა ქართლის მთილეობის	100.0	15.8	11.5	17.7	45.0	37.4	17.6
5. სამაჩაბლოს მთილეობა-მეცხოველეობის	100.0	4.8	1.3	33.9	40.0	48.4	11.6
6. ჯავახეთის მთიანეთის მეცხოველეობის და მეკარტოფილეობის	100.0	17.6	0.1	42.9	60.6	7.6	31.8
7. სამცხე-თრიალეთის მეცხოველ. და მთილეობის	100.0	5.6	1.0	34.4	41.0	43.5	15.5
8. იმერეთის მაღლობის და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობა-მეცხოველეობის	100.0	6.0	3.5	17.1	26.6	56.0	17.4
9. დას. კავკასიონის მთის მეცხოველეობის	100.0	0.6	0.1	31.4	32.1	48.2	19.7
10 აფხაზეთის სუბტროპიკული კულტურების	100.0	7.8	3.7	14.2	25.7	59.0	15.3
11. კოლხეთის სუბტროპიკ. კულტურების	100.0	9.3	9.1	13.8	32.2	39.1	28.7
12. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის	100.0	20.0	5.5	14.4	40.0	36.2	23.8
13. აჭარის სუბტრ. კულტურების და მეთამბაქოების	100.0	3.0	5.8	14.7	23.5	65.1	11.4
სულ საქართველოში ათ. ჰა, %	6949.4 100.0	785.0 11.3	277.5 4.0	1928.6 27.8	2991.1 43.1	30078.4 43.3	9439.3 13.6

*მხედველობაში მისაღება ის გარემოება, რომ აგრარული რეფორმის პროცესში საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებს შეეცვალა სპეციალიზაცია; ბევრგან მრავალწლიანთა ადგილი მარცვლეულმა დაიკავა, მაგრამ ზოგადად ზონების საწარმოო სპეციალიზაცია მაინც შენარჩუნებულია

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
სავარგულების ფართობების დინამიკა
1950-1998 წლებში

წელი		სასოფლო- სამეურნეო მიწები (საკარმიდამოს ჩათვლით სულ)	მათ შორის			
			დამუშავებული მიწები (საკარმიდამოს ჩათვლით)	აქედან		სათიბ- საძოვრები
				სანნავი	მრავალ- წლიანი ნარგავები	
1950	ათ.ჰა	3447.2	1867.5	1055.3	234.0	1579.7
	%	100.0	54.2	30.6	6.8	45.8
1955	ათ.ჰა	3168.4	1569.7	976.7	244.0	1598.7
	%	100.0	49.5	30.8	7.7	50.5
1960	ათ.ჰა	2881.0	1419.5	925.0	235.2	1461.5
	%	100.0	49.3	32.1	8.2	50.7
1965	ათ.ჰა	2785.5	1173.1	727.1	216.3	1612.4
	%	100.0	42.1	25.1	7.8	57.9
1970	ათ.ჰა	2898.1	1162.6	685.3	235.0	1735.5
	%	100.0	40.1	23.6	8.1	59.9
1975	ათ.ჰა	2951.9	1155.6	678.1	256.1	1796.3
	%	100.0	39.1	23.0	8.7	60.9
1980	ათ.ჰა	2996.3	1156.5	668.1	288.1	1839.9
	%	100.0	38.6	22.3	9.6	61.4
1985	ათ.ჰა	2978.9	1155.6	686.8	272.3	1823.3
	%	100.0	38.8	23.0	9.1	61.2
1990	ათ.ჰა	2984.6	933.8	694.5	239.3	1842.4
	%	100.0	33.5	24.9	8.6	66.5
1998	ათ.ჰა	2991.1	1062.5	785.0	277.5	1928.6
	%	100.0	35.5	26.2	9.3	64.5

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება მიწათმოსარგებლეთა მიხედვით (1991 წ.)*

ათასი ჰექტარი

	მიწის მთლიანი ფართობი	სასოფ.სამ. მიწები	მათ შორის		
			სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი და საძოვარი
სულ მიწა	7222.3	3226.5	796.2	332.4	2091.9
სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების და მეურნეობების მიერ გამოყენებული მიწა	4479.3	3134.5	788.5	327.3	2012.7
საკოლმეურნეო მიწები, სულ	2200.3	1441.6	335.3	160.5	943.9
მ.შ. საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები	2099.2	1349.8	292.0	113.2	942.7
კოლმეურნეობის, მუშების, მოსამსახურეების და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო ნაკვეთები	101.1	91.8	43.3	47.3	1.2
სამეურნეობათა შორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების მიწები, სულ	110.6	54.2	17.9	1.2	35.1
სახელმწიფო მეურნეობების და სხვა სას.-სამ. საწარმოების მიწები	2057.6	1534.9	382.3	115.2	1033.3
მუშა-მოსამსახურეთა პირადი სარგებლობის მიწები	110.8	103.8	53.0	50.4	0.4
სახელმწიფო-სარეზერვო მიწები და სატყეო ორგანიზაციების მიწები	2424.9	79.8	3.3	3.7	72.8
სხვა მიწათმოსარგებლები	318.1	12.2	4.4	1.4	6.4

მიწების განაწილება მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით (1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

ათასი ჰექტარი

საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწები სულ	6949.4
სახელმწიფო მარაგის მიწები	82.7
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები	2488.7
დასახლებული პუნქტების (ქალაქების, დაბების, კურორტების და სხვა დასახლებების) მიწები	72.2
მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, კავშირგაბმულობის და სხვა ორგანიზაციების მიწები	109.5
ისტორიულ-კულტურული, რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი, ბუნებადაცვითი დანიშნულების მიწები	1.0
საეკლესიო მიწები	3.9
წყლის ფონდი	147.5
სულ	2905.5
აგრარული რეფორმის მიწის ფონდი (საკარმიდამო და სარეზერვო მიწები)	766.0
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები	3337.5
საქართველოს საზღვრების გარეთ გამოყენებული მიწები (დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე)	60.0
სხვა ქვეყნების მიწათმოსარგებლობა საქართველოს ტერიტორიაზე (კრასნოდარის მხარის მიერ გამოყენებული მიწები)	0.4
ყველა კატეგორიის მიწები სულ	7009.0

* ცხრილი შედგენილია სტატ. კრებულის საქართველოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები მიხედვით. თბ., 1997


**საკუთრებაში გადაცემული და იჯარით გაცემული
სასოფლო-სამეურნეო სავარგულების
ოდენობა მხარეების მიხედვით
(1998 წლის 1 აპრილისათვის)***

ათასი ჰექტარი


მიწის კატეგორია	მხარეები												
	იმერეთი	სამეგრელო- ზემო	ბურია	რაჭა- ლეჩხუმი და აჭარა	შიდა ქართლი	მცხეთა- მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე- ჯავახეთი	აფხაზეთის ა.რ.	აჭარის ა.რ.	სამაჩაბლო	სულ
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სასოფლო- სამეურნეო სავარგული სულ	2113	2758	74.5	1526	2245	2894	6199	3054	3084	2173	74.1	57.9	2991.1
მ.შ. სახნავი	82.6	70.3	21.7	8.9	76.1	38.2	213.6	133.1	82.0	44.8	10.8	2.9	785.0
მრავალწლ. ნარგავები	31.8	37.2	24.6	3.5	40.9	7.8	52.4	15.5	3.3	44.1	16.3	0.1	277.5
სათიბი	1.7	3.2	1.1	25.7	7.2	14.6	1.9	37.1	30.9	2.0	7.2	8.0	140.6
საძოვარი	95.2	165.1	27.1	114.5	100.3	228.8	352.0	209.7	282.2	126.4	39.8	46.9	1788.0
გადაცემულია საკუთრებაში სას.-სამ. სავარგული სულ	108.5	110.0	11.0	19.7	77.3	64.4	155.7	63.9	73.6	18.4	26.1	0.9	789.7
მ.შ. სახნავი	72.3	59.2	17.7	8.5	38.7	25.0	103.4	46.0	43.8	8.7	8.0	0.6	431.9
მრავალწლ. ნარგავები	26.0	18.4	18.6	3.3	37.7	6.5	41.3	12.0	3.2	9.6	9.0	0.1	185.7
სათიბი	1.5	2.1	0.4	15.3	-	10.9	1.0	4.5	6.5	-	5.4	-	47.6
საძოვარი	8.7	30.3	4.3	22.6	0.9	22.2	10.0	1.4	20.1	0.1	3.7	0.2	124.5
აქედან იჯარით გაცემულია სას.-სამ. სავარგული სულ	44.9	25.2	10.1	18.0	57.3	34.7	306.9	159.9	99.9	-	-	-	756.9
მ.შ. სახნავი	7.6	7.5	3.4	-	26.4	8.1	98.2	74.6	30.1	-	-	-	255.9
მრავალწლ. ნარგავები	4.4	9.6	2.0	-	2.1	0.4	9.6	2.9	-	-	-	-	31.0
სათიბი	-	0.2	0.2	0.3	3.2	0.4	0.6	14.8	8.9	-	-	-	28.6
საძოვარი	32.9	7.9	4.5	17.7	25.6	25.8	198.5	67.6	60.9	-	-	-	441.4
დარჩა გაუცემელი სას.-სამ. სავარგული სულ	57.9	140.6	23.4	84.9	89.9	190.1	157.3	171.6	224.9	198.9	48.0	57.0	1444.5
მ.შ. სახნავი	2.7	3.6	0.6	0.4	11.0	5.1	12.0	12.5	8.1	36.1	2.8	2.3	97.2
მრავალწლ. ნარგავები	1.4	9.2	4.0	0.2	1.1	0.9	1.5	0.6	0.1	34.5	7.3	-	60.8
სათიბი	0.2	0.9	0.5	10.1	4.0	3.3	0.3	17.8	15.5	2.0	1.8	8.0	64.4
საძოვარი	53.6	126.9	18.3	74.2	73.8	180.8	143.5	140.7	201.2	126.3	36.1	46.7	1222.1

* ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის მასალების მიხედვით


მინის ფონდის სტრუქტურა %-ში (1997წ)



სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა 1998 წ.



სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობების დინამიკა (%-ში) 1950-1998წ



ცხრილი 8


სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის დიფერენცირებული და საშუალო რაიონული განაკვეთები (აშშ დოლარის კურსით-3ექტარზე)

№	რაიონები	განაკვეთები							ბუნებრივი საფარისათვის	ბუნებრივი საფარისათვის	მიწის გადასახადის საშუალო რაიონული განაკვეთი
		მრავალწლიანი ნარგავებისა და სახნავი მიწებისათვის									
		მიწის ხარისხი									
		კარგი	საშუალო	ძირი	VI	VII	VIII				
1	II	III	IV	V	VI	VII	VIII				
1	აბაშა	26.1	22.5	9.5	3.0	1.0	20.0				
2	ადიგენი	14.5	8.7	5.5	1.5	0.5	10.0				
3	ამბროლაური	14.6	8.7	5.0	1.6	0.6	11.8				
4	ახაბიძა	12.0	7.2	4.1	1.4	0.4	9.4				
5	ახალგორი	21.6	11.7	7.0	2.3	0.7	15.4				
6	ახალქალაქი	27.0	16.3	9.8	3.0	1.0	21.0				
7	ახალციხე	23.0	13.7	7.8	2.7	0.9	18.2				
8	ახმეტა	23.1	17.6	12.0	2.7	0.9	18.4				
9	ბაღდათი	20.0	10.6	6.9	2.1	0.7	14.0				
10	ბოლნისი	30.2	21.6	14.0	3.5	1.1	24.1				
11	ბორჯომი	14.5	7.7	5.4	1.5	0.5	10.0				
12	გაგრა	28.0	20.4	11.4	3.4	1.1	22.0				
13	გალი	29.8	21.7	12.1	3.5	1.1	23.6				
14	გარდაბანი	34.1	21.4	13.9	3.5	1.1	24.1				
15	გორი	29.4	18.0	11.8	3.1	1.0	21.6				
16	გუდაუთა	28.3	20.6	11.5	3.4	1.1	22.6				
17	გულრიფში	28.0	20.4	11.4	3.4	1.1	22.4				
18	გურჯაანი	29.7	22.7	15.5	3.4	1.1	23.2				
19	დედოფლისწყარო	28.6	21.8	14.9	3.0	1.0	20.4				
20	დებანსი	21.2	12.7	8.5	2.7	0.9	18.0				
21	დუშეთი	13.2	5.9	4.6	1.5	0.5	10.8				
22	ვაზი	20.1	11.8	7.4	2.5	0.8	16.4				
23	ვესტაფონი	20.1	12.0	7.5	2.5	0.8	16.6				
24	ზუგდიდი	29.6	20.1	10.0	3.2	1.0	21.5				
25	თეთრიწყარო	21.5	12.5	8.2	2.7	0.9	18.6				
26	თელავი	28.0	21.4	14.6	3.0	1.0	22.2				
27	თერჯოლა	20.2	12.1	7.6	2.5	0.8	16.8				
28	თიანეთი	13.0	5.6	4.2	1.5	0.5	10.6				
29	კასპი	23.9	14.6	9.6	2.2	0.9	19.2				

ცხრილი 8
გაგრძელება

№	რაიონები	განაკვეთები										ბუნებრივი საფორებისათვის	ბუნებრივი საფორებისათვის	მიწის გადასახადის საშუალო რაიონული განაკვეთი
		მრავალწლიანი ნარგავებისა და სახნავი მიწებისათვის												
		მიწის ხარისხი												
		კარგი	საშუალო	ძირი	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
36	მცხეთა	27.2	16.6	10.8	3.0	1.0	20.0							
37	ნიონშიონდა	26.5	15.6	9.4	3.0	1.0	20.0							
38	ოზურგეთი	29.3	19.8	10.8	3.2	1.0	21.2							
39	ოზი	10.2	5.6	4.0	1.0	0.4	8.2							
40	ოჩამჩირე	29.3	21.3	11.9	3.5	1.1	23.4							
41	საგარეჯო	24.0	17.6	12.0	2.9	0.9	19.4							
42	სამტრედია	24.0	20.5	10.6	3.0	1.1	21.6							
43	საჩხერე	16.0	8.8	6.3	1.9	0.6	13.0							
44	სენაკი	27.4	19.5	9.8	2.9	0.9	19.6							
45	სიღნაღი	26.0	19.3	13.0	2.9	0.9	19.6							
46	სოხუმი	29.3	21.3	11.9	3.5	1.1	23.4							
47	ტყიბული	13.0	7.3	4.7	1.4	0.5	9.6							
48	ქარელი	24.4	15.9	9.8	2.8	0.9	19.0							
49	ქედა	18.0	11.4	7.8	2.0	0.6	14.4							
50	ქობულეთი	30.0	18.5	10.3	3.5	1.1	26.4							
51	ყაზბეგი	8.0	4.2	3.0	0.6	0.3	6.0							
52	ყვარელი	27.5	21.6	14.8	3.1	1.0	20.4							
53	მუხრანის რაიონი	18.2	11.5	7.9	2.2	0.7	14.6							
54	ჩხობის რაიონი	16.6	10.2	5.1	1.4	0.5	9.4							
55	ჩხოროწყუ	20.0	13.5	6.7	2.0	0.7	13.8							
56	ცაგერი	14.0	6.8	4.0	2.0	0.7	13.2							
57	ნალენჯიხა	20.6	13.9	7.9	2.1	0.7	14.0							
58	ნალკა	23.0	13.5	8.1	3.1	1.0	20.4							
59	ნეკლეტუბო	24.0	20.5	8.6	3.5	1.0	21.4							
60	ჭიათურა	10.8	6.5	4.3	1.3	0.5	8.4							
61	ხარაგაული	10.8	6.7	4.4	1.3	0.5	8.6							
62	ხაშური	23.8	14.6	9.6	2.8	0.9	19.0							
63	ხელვაჩაური	29.4	18.1	10.1	3.5	1.1	25.8							
64	ხობი	27.0	17.4	9.6	2.8	0.9	19.0							
65	ხონი	23.0	14.6	8.2	2.2	0.7	15.0							
66	ხულო	20.0	10.9	8.4	2.0	-	14.8							
67	ჯავახი	8.0	4.2	3.0	0.8	0.3	6.0							


**სამკრიველოს
საოფლისმომწოდებელი საგარეულეთის სტრუქტურის მხარდასა მხარდას
(1998 წელი)**




სახნავი
 მრავალწლიანი ნარგავები
 სათიბი
 სამოვარი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა მხარეების მიხედვით (1998 წელი)


იმიკეთი




სამებრელო, ზემო სვანეთი




გურია




შიდა ქართლი




მცხეთა-თიანეთი




კახეთი




სამცხე-ჯავახეთი




აფხაზეთი




აჭარა



ქვემო ქართლი



რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი



სამაჩაბლო

